ივერიელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

პარასკევი, 24 ნოემბერი, 1950 წ. № 268 (8823). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მშვიდობისათვის ბრძოლა ყველა ხალხის სასიცოცხლო საქმეა—„პრავდის“ 23/XI მოწინავე (1-ლი გვერდი).

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი რეგისტრირებულია მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად (1-ლი გვერდი).

პატაკი ი. ბ. სტალინისადმი ლიტვის სს რესპუბლიკის მიერ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).

საარჩევნო უბნებსა და აგიტპუნქტებში (მე-2 გვერდი).

მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები (მე-2 გვერდი).

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში (მე-2 გვერდი).

იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე (მე-2 გვერდი).

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები (მე-4 გვერდი).

მშვიდობისათვის ბრძოლა ყველა ხალხის სასიცოცხლო საქმეა

გუშინ დამთავრა მუშაობა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესმა, რომელსაც ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი მშვიდობისადმი ხალხთა გაუტეხელი მისწრაფების მძლავრ დემონსტრაციას წარმოადგენდა. მთელი მსოფლიო დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს კონგრესის მუშაობას, რომლის ტრიბუნიდან მძლავრად გაისმოდა მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ნამდვილი ხმა. იგი ასე გაისმოდა იმიტომ, რომ განუზომლად გაიზარდა და განმტკიცდა მშვიდობისათვის მოძრაობა, რომელიც გადაიქცა უძლეველ ქმედით და მძლავრ ძალად, ახალი ომის გამჩაღებლებისათვის მრისხანე ძალად.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესმა მიიღო მანიფესტი მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი, მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი და აირჩია მშვიდობისათვის მოძრაობის ახალი ხელმძღვანელი ორგანო—მშვიდობის მსოფლიო საბჭო. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ოთხმოცი ქვეყნის წარმომადგენლები, რომელთა წარგზავნილნი მონაწილეობას იღებდნენ კონგრესის მუშაობაში.

კონგრესის ტრიბუნიდან წარმოითქვა სიტყვები მთელი მსოფლიოს ხალხთა ენებზე. ოთხმოცი ქვეყნის ხალხთა წარგზავნილებმა გამონახეს საერთო ენა — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის ენა. დიადმა სიტყვამ **მშვიდობამ,** რაც ნიშნავს გონების გამარჯვებას უგუნურებაზე, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისა და ხალხთა თანამშრომლობის გამარჯვებას ნგრევასა და მტრობაზე, გააერთიანა სხვადასხვა რასისა და ეროვნების, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და რელიგიური რწმენის, პროფესიისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის კეთილი ნების ასეულ მილიონობით ადამიანი. ერთმა მაღალმა და კეთილშობილურმა მიზანმა მჭიდროდ გააერთიანა კონგრესის მონაწილენი, როგორც აერთიანებს იგი ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს. ეს მიზანია მშვიდობის დაცვა, ომის გამჩაღებლების ალაგმვა, მათი დანაშაულებრივი კაცთმოძულეობის გეგმების ჩაფუშვა.

ხალხთა მტკიცე ნებამ და გადაწყვეტილებამ — არ დაუშვან იმპერიალისტთა საშინელი გეგმების განხორციელება, დაიცვან მშვიდობა და საყოველთაო უშიშროება — მკაფიო გამოხატულება ჰპოვა იმ ერთსულოვნებაში, რომლითაც მშვიდობის მოციქულებმა მიიღეს მეორე მსოფლიო კონგრესის მიერ შემუშავებული ისტორიული დოკუმენტები.

მანიფესტში მსოფლიოს ხალხებისადმი ნათქვამია:

„როდესაც წაიკითხავთ ამ მიმართვას, რომელიც მიღებულია ვარშავაში მშვიდობის მეორე მსოფლიო კონგრესზე 80 ქვეყნის ხალხთა სახელით, დაიხსომეთ, რომ ბრძოლა მშვიდობისათვის თქვენი საკუთარი სასიცოცხლო საქმეა. იცოდეთ, რომ მშვიდობის ასობით მილიონი მომხრე გაერთიანდა და ხელს გიწვდით თქვენ. ისინი მოგიწოდებენ მონაწილეობა მიიღოთ ყველაზე კეთილშობილურ ბრძოლაში, რომელიც ოდესმე უწარმოებია თავისი მომავლისადმი მტკიცე რწმენით გამსჭვალულ კაცობრიობას.

მშვიდობას კი არ უნდა ველოდოთ, არამედ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ იგი“.

ამ შესანიშნავი სიტყვებით გამოხატულია მშვიდობისათვის მებრძოლთა მრავალმილიონიანი მასის შეუდრეკელი სულისკვეთება, მშვიდობის მომხრეთა საყოველთაო-სახალხო მოძრაობის გაზრდილი ძალა და ორგანიზებულობა. მშვიდობა უნდა მოვიპოვოთ, მშვიდობისათვის სულ უფრო აქტიურად და გაბედულად უნდა ვიბრძოლოთ. ამას მტკიცედ გვიკარნახებს საერთაშორისო ვითარება. ახალი მსოფლიო ომის საფრთხე გამწვავდა. კორეაში გიზგიზებს ამერიკელი ინტერვენტების მიერ გაჩაღებული სისხლისმღვრელი დამპყრობლური ომის ხანძარი. და მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი კეთილი ნების ყველა ადამიანს მოუწოდებს:

— გავაერთიანოთ ჩვენი ძალღონე და მოვითხოვოთ ომის შეწყვეტა, რომელიც დღეს კორეას ანადგურებს, ხვალ კი მთელ მსოფლიოს უქადის ხანძარს.

ამზადებენ რა თავიანთი ანგარებითი მიზნებისათვის ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას, ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები გამალებით ახორციელებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და გერმანიის არმიის აღდგენას, აღორძინებენ იაპონიის მილიტარიზმს. მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი მშვიდობისათვის ყველა მებრძოლს მოუწოდებს:

— გამოვიდეთ გერმანიისა და იაპონიაში ომის კერების კვლავ გაღვივების ცდების წინააღმდეგ.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი მილიონობით ადამიანის სახელით მოითხოვს ატომური იარაღის აკრძალვას, საყოველთაო განიარაღების განხორციელებას, ამ ღონისძიებათა შესრულებაზე კონტროლის დაწესებას. იგი მოითხოვს მიღებულ იქნას კანონები, რომლებიც გაითვალისწინებენ დასჯას ომის პროპაგანდისათვის, მოითხოვს შეწყდეს მშვიდობის მომხრეთა დევნა. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესს საჭიროდ მიაჩნია მოეწყოს ხუთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით.

მანიფესტში მსოფლიოს ხალხებისადმი აღნიშნულია, რომ ომი ემუქრება კაცობრიობას, ხოლო „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხალხებს ვერ უმართლებს მშვიდობისა და სიმშვიდის შენარჩუნების იმედს“.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი, გამოხატავს რა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ნებას, მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გადაჭრით დაუბრუნდეს იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც იგი შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შეიქმნა იმისათვის, რომ უზრუნველეყო თავისუფლება, მშვიდობა და ურთიერთპატივისცემა ხალხთა შორის.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის სპეციალურად მიღებულ მიმართვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი ნათქვამია: „თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ ამართლებს იმ მთავარ იმედს, რომელსაც მასზე ამყარებდა მსოფლიოს ყველა ხალხი, როგორც ის ხალხები, რომელთა მთავრობებს წარმომადგენლები ჰყავთ ამ ორგანიზაციაში, ისე ის ხალხებიც, რომლებსაც აქ ჯერ არა ჰყავთ წარმომადგენლები, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს კაცობრიობის სიმშვიდესა და მშვიდობას, ეს იმიტომ ხდება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აღმოჩნდა იმ ძალების გავლენაში, რომლებმაც უგულებელყვეს საყოველთაო მშვიდობისაკენ მიმავალი ერთადერთი შესაძლებელი გზა — საყოველთაო თანხმობის ძიება“.

მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სურს გამართლოს იმედი, რასაც კაცობრიობა ჯერ კიდევ ამყარებს მასზე, იგი უნდა დაუბრუნდეს იმ გზას, რომელიც მისი დაარსების დღიდან დაუსახეს მას ხალხებმა.

მეორე მსოფლიო კონგრესი თავის მიმართვაში მტკიცედ მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და საკანონმდებლო ორგანოებმა, რომელთა წინაშე პასუხისმგებელი არიან სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, დაუყოვნებლივ განიხილონ მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის აღდგენა და შენარჩუნება, ნდობის აღდგენა და შენარჩუნება ყველა ქვეყანას შორის, მიუხედავად მათი სოციალური სისტემებისა.

კონგრესის უმნიშვნელოვანეს წინადადებათა შორის არის: ყველა სახეობის ატომური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური იარაღის, მომწამლავი ნივთიერებების, მასობრივი მოსპობის რადიაქტიურ და ყველა დანარჩენი სხვა საშუალების უთუოდ აკრძალვა, იმ მთავრობის სამხედრო დამნაშავედ გამოცხადება, რომელიც პირველი იხმარს მათ, მთელი შეიარაღებული ძალების პროგრესიული, ერთდროული და პროპორციული შემცირება.

კონგრესი ყველა ქვეყნის პარლამენტს მიმართავს მოწოდებით — მიიღონ მშვიდობის დაცვის კანონი, რომელიც გაითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ახალი ომის ყოველგვარი პროპაგანდისათვის.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესმა დააარსა მშვიდობის მსოფლიო საბჭო. იგი იქნება წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შევლენ მსოფლიოს ყველა ხალხის წარმომადგენლები, როგორც იმ ქვეყნებისა, რომელნიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შედიან, ისე იმ ქვეყნებისაც, რომლებსაც იქ წარმომადგენლები არა ჰყავთ, აგრეთვე იმ ქვეყნების ხალხებისა, რომელნიც ამჟამად დამოკიდებული და კოლონიური არიან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო კისრულობს დიად ამოცანას — უზრუნველყოს მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა, რაც ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება. მშვიდობის მსოფლიო საბჭო კაცობრიობას შთაუნერგავს რწმენას, რომ, მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, რომელთა უგულებელყოფა არ შეიძლება, იგი შეასრულებს ნაკისრ მისიას.

მშვიდობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა, რომელიც მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესმა მიიღო, შეესაბამება ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხთა უფართოესი მასების ყველაზე სასიცოცხლო, ყველაზე საარსებო ინტერესებს. მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მიერ წამოყენებული მოთხოვნები შემუშავებულია მსოფლიოს ხუთი ნაწილიდან: ევროპიდან და ამერიკიდან, აფრიკიდან, აზიიდან და ავსტრალიიდან კონგრესზე ჩამოსული ოთხმოცი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის თავისუფალი დისკუსიის, აზრთა საჯარო გაცვლის მსვლელობაში.

ჩინეთის, კორეის, ვიეტნამის დელეგატთა, სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა — შემაძრწუნებელი ამბების მოწმეთა—ჩვენებამ მთელი მსოფლიოს წინაშე ამხილა ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა ბოროტმოქმედებანი.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მთელმა მსვლელობამ ცხადყო, თუ რა ღრმად შეიჭრა ყველა ქვეყნის ხალხთა მასებში იმის შეგნება, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა, რომ შეიძლება მშვიდობის დაცვა, რომ ტყუიან იმპერიალისტები, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს ომი გარდუვალია. მაგრამ მშვიდობა რომ დავიცვათ, ამისათვის საჭიროა მშვიდობისათვის ყველა მებრძოლის ძალღონის კიდევ უფრო დაძაბვა, უფრო მეტი დარაზმულობა და ორგანიზებულობა, მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანთა უფრო მეტი სითხიზლე.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მიერ გაწეულმა უდიდესმა და ნაყოფიერმა მუშაობამ სავსებით ცხადყო, რომ, თუ არსებობს კეთილი ნება, ვერც პოლიტიკური და ეკონომიური სისტემების სხვადასხვაობა, ვერც პოლიტიკურ შეხედულებათა და რელიგიური რწმენის სხვადასხვაობა ვერ დააბრკოლებს მტკიცე, ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებას, მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

საბჭოთა ხალხი, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს კომუნიზმს, უდიდესი კმაყოფილებით შეხვდება მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ჩვენი გმირი ხალხი შემდეგშიც იქნება მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში, რასაც იგი ეწევა მშვიდობის დიდი მედროშის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით.

მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს! გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

„პრავდის“ 23/XI მოწინავე

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ახალი ტირაჟის გამოცემა ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის“ ახალი ტირაჟი — 30.000 ეგზემპლარი. (საქდესი).

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ახალი ტირაჟის გამოცემა ტაჯიკურ ენაზე

სტალინაბადი, 20 ნოემბერი. (საქდესი). ტაჯიკეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ტაჯიკურ ენაზე გამოუშვა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის“ ახალი ტირაჟი — 30 ათასი ეგზემპლარი.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეოთხე ტომი მოლდავურ ენაზე

კიშინიოვი, 21 ნოემბერი. (საქდესი). მოლდავეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ მოლდავურ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეოთხე ტომი.

თარგმანი შეასრულა მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა—საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალმა.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

რეგისტრირებულია მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

22 ნოემბერს შედგა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 90 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. კირპეტა, ხსნის რა სხდომას, აქვეყნებს სასიხარულო ცნობას: მიღებულია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის თანხმობა — მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს № 90 საარჩევნო ოლქში.

დარბაზში იმართება მქუხარე ოვაცია, რომელიც რამდენიმე წუთს გრძელდება. გაისმის მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

სიტყვას იღებს მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ამხ. ა. დ. გავრიკოვი.

— დღეს მანქანათმშენებელთა კოლექტივისათვის, — ამბობს იგი, — დიდი სიხარულის დღეა — დიდი ბელადი და მასწავლებელი, მშობლიური და საყვარელი ამხანაგი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში. **(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).**

ამხ. გავრიკოვი ლაპარაკობს ამხანაგ ი. ბ. სტალინის უდიდეს დამსახურებაზე, საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულზე დიდი ბელადისადმი. თავისი სიტყვის დასასრულს ორატორმა განაცხადა, რომ დიდ პატივს—ამხანაგ სტალინის თანხმობას კენჭი იყაროს № 90 საარჩევნო ოლქში — ქარხნის კოლექტივი უპასუხებს ახალი საწარმოო წარმატებებით. ქარხნის კომუნისტური ორგანიზაციის სახელით ამხ. გავრიკოვი სთხოვს საოლქო საარჩევნო კომისიას მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად № 90 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის კანდიდატურა.

შემდეგ გამოსულმა მანქანათმშენებელი ქარხნის ბრიგადირმა ამხ. მ. გ. მალახოვამ თქვა:

— ამხანაგმა სტალინმა დიდი ნდობა გაგვიწია, მოგვცა რა თანხმობა—მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში. ეს ნდობა ჩვენ უნდა გავამართლოთ სტახანოვური შრომით. საუკეთესო ხარისხის ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, სისტემატურად ასრულებს თითქმის ორ ნორმას. თვითონ მე უკვე შევასრულე ორი ხუთწლედის დავალება. მაგრამ ჩვენ როდი ვფიქრობთ დავჯერდეთ მიღწეულს. ვიმუშავებთ უკეთესად, რათა ჩვენი დაუღალავი შრომით ხელი შევუწყოთ საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილემ ამხ. ვ. ი. ნაზაროვმა განაცხადა:

— ქარხნის ახალგაზრდობა უდიდესი სიხარულით მისცემს ხმას დიდ სტალინს, რადგან დიდი სტალინისათვის ხმის მიცემით ჩვენ ხმას ვაძლევთ ჩვენს ბედნიერ აწმყოსა და მომავალს, ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას, საყვარელი სამშობლოს შემდგომ აყვავებას. ქარხნის ახალგაზრდობის სახელით ვთხოვ საოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგ სტალინის კანდიდატურა.

სტახანოველმა მღარველმა ამხ. კ. პ. ლიაპინამ და მანქანათმშენებელი ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ვ. ჩისტოვმა აგრეთვე სთხოვეს საოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის კანდიდატურა.

ყველა დამსწრეთა ტაშის გრიალში კომისიამ ერთსულოვნად გადაწყვიტა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 90 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგი ი. ბ. სტალინი.

დარბაზში ახალი ძალით ქუხს ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან; გაისმის შეძახილები: **„დიდება ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს ამხანაგ სტალინს!“, „ამხანაგ სტალინს—ვაშა“.**

(საკდესი).

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 101,5 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სასურსათო მარცვლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 121,6 პროცენტით, აქედან ხორბლისა — 171 პროცენტით. გრძელდება კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარება მტს-ების მუშაობის ანაზღაურების ანგარიშების მიხედვით. რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამთავრებენ კარტოფილისა და შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმის შესრულებას, აგრეთვე მარცვლეული კულტურების გალეწვას და ინახავენ თესლს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმა: რძისა—103,8 პროცენტით, კვერცხისა — 106,2 პროცენტით, მატყლისა—105,5 პროცენტით და ბეწვეულისა—128,1 პროცენტით. მთავრდება აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმატებით ასრულებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმას. შესრულებულია უხეში საკვების დაგროვებისა და სილოსის ჩადების გეგმა და საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა მთლიანად უზრუნველყოფილია საკვებით.

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ საბჭოთა ლიტვის მშრომელ გლეხთა ძირითადი მასა, გამოცდილებით დარწმუნდა რა საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობაში, გაერთიანდა სასოფლო-სამეურნეო არტელებად და წარმატებით ავითარებს საზოგადოებრივ მეურნეობას. რესპუბლიკის კოლმეურნეობანი ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, კეთილსინდისიერად ანაღდებენ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე, უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი დოვლათის სიმდიდრის სწრაფ ზრდას.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის მეოხებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა სწრაფად იარაღდება თანამედროვე ტექნიკით, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს ემატება ახალი ტრაქტორები, რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მოწყობილობა. ისინი გადამწყვეტ ძალად იქცევიან საკოლმეურნეო წარმოებაში.

სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის პასუხად საბჭოთა ლიტვის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და ყველა მშრომელი ყოველ ღონეს იხმარენ სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის და კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის, ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ლიტვის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. სნეჩკუსი
ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. გედვილასი
დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ლიტვის სს რესპუბლიკაში ა. ანდრეევი
ლიტვის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. აუგუსტინაიტისი
ლიტვის სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი დ. მამაევი

არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება

ფეიქრები სტახანოვურ ვახტზე

თბილისელი ფეიქრები მაღალნაყოფიერი შრომით აღნიშნავენ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადსა და 10 თვეში შეასრულა. ახლა აქ გადაწყვეტილი აქვთ წლის ბოლომდე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ 1.100 ათასი მეტრი მოჩითული და 500 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი.

ამ ვალდებულების გასანაღდებლად ნაყოფიერად იბრძვიან საქსოვ საამქროში, სადაც ნოემბრის 18 დღეში გეგმის გადამეტებით მოქსოვეს 8.300 მეტრი ქსოვილი. პატრიოტული შრომის ნიმუშებს იძლევიან მოწინავე სტახანოველები — ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები. მრავალდაზგოსანი მქსოველი ალექსანდრა სიხარულიძე, რომელიც თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად არის დასახელებული, დღიურ ნორმას 5-6 მეტრით აჭარბებს.

ქსოვის ინსტრუქტორი თამარ ნათელაშვილი საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა. მისმა კომპლექტმა 10 თვის გეგმა 118,2 პროცენტით შეასრულა, საგრძნობლად გაადიდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება და ახლა იმისათვის იბრძვის, რომ ვადაზე 25 დღით ადრე შეასრულოს წლიური გეგმა.

არჩევნებისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგას მრავალდაზგოსანი მქსოველი ეკატერინე მეხრაძე. მან 19,4 პროცენტით გაზარდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება და 4 დაზგაზე ქსოვის დღიურ ნორმას სისტემატურად 130 პროცენტით ასრულებს.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, სტახანოველი მქსოველი ე. ნიკულინა დღიურ დავალებას სისტემატურად 45-47 პროცენტით აჭარბებს.

სტახანოვურ ვახტზე დგანან მოსამზადებელი საამქროს წარჩინებული მუშებიც. სტახანოვური შრომით ამ საამქროში განსაკუთრებით გამოირჩევა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, მემასრე ეკატერინე სოლოღაშვილი, რომელიც დღიურ ნორმას 135-140 პროცენტით ანაღდებს.

მშენებელთა მოწინავე კოლექტივი

გორი. (საქ. კორ.). ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობაზე. მშენებლობის წლიური გეგმა 1 ნოემბრისათვის 103,3 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო ათი თვის დავალება — 122,9 პროცენტით. მთავარი კორპუსის სართავ განყოფილებაში ამონტაჟებენ სართავ მანქანებს 10 ათასი თითისტარით. საპენტ განყოფილებაში ხდება დანადგარების მონტაჟი.

კომბინატის მუშათა საცხოვრებელი ბინების მშენებლებმა წლიური გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ მოამზადეს 200 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო მთლიანად საექსპლოატაციოდ გადაცემულია 1.608 კვადრატული მეტრი ფართობი.

მშენებლებს დამატებით მიეცათ ასათვისებლად 1.200 ათასი მანეთი. მათ გადაწყვიტეს ეს თანხა მთლიანად აითვისონ 21 დეკემბრისათვის.

მშენებლობაზე ფართოდ არის გამოყენებული შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია. სერიოზული ყურადღება ექცევა რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებას. 10 რაციონალიზატორული წინადადება მოწონებული და დანერგილია, რის შედეგად უკვე მიღებულია 68 ათასი მანეთი ეკონომია.

მშენებლობის კოლექტივი თავდადებით იბრძვის, რათა კომბინატი დროულად გადასცეს საექსპლოატაციოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

საარჩევნო უბნებსა და აგიტპუნქტებში

ყოველდღიურად მრავალი ამომრჩეველი, აგიტატორი, მოსწავლე ახალგაზრდა მოდის პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობაში (ლენინის რაიონი), სადაც ადგილობრივი საბჭოების არჩევნების № 29 საარჩევნო უბნის ცენტრია.

საარჩევნო უბნის შენობის მოწყობასა და მის გაფორმება-გალამაზების საქმეს კარგად ხელმძღვანელობს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. ლოლაძე. საარჩევნო უბნის სუფთა და ნათელ ოთახში დადგმულია ტელეფონი, აქვთ რადიო. გამოკრულია ამომრჩეველთა გარკვევით და სუფთად დაწერილი სიები. აქ მოსულ ამომრჩევლებს ზუსტ და ამომწურავ პასუხს აძლევენ კომისიის მორიგე წევრები.

საუბნო საარჩევნო კომისიას უკვე ოთხი სხდომა ჰქონდა. კომისიას აქვს სამუშაო გეგმა, განაწილებულია დავალებანი კომისიის წევრთა შორის.

საუბნო საარჩევნო კომისიას განზრახული აქვს ახლო ხანში მოაწყოს დიასახლისთა და ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეკრება, აგრეთვე ექსკურსიები თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებში.

პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობაშივეა მოთავსებული აგიტპუნქტი (გამგე ამხ. ბოლქვაძე). აგიტპუნქტი ლამაზად არის გაფორმებული ლოზუნგებითა და პლაკატებით, აქვს მდიდარი საარჩევნო ლიტერატურა, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები. ეწყობა კონსულტაციები, მოხსენებები და საუბრები, გამოდის კედლის გაზეთი „ამომრჩეველთა ხმა“. საუკეთესოდ მუშაობენ აგიტატორები ლ. მირიანაშვილი, ტ. დახუნდარიძე, ქ. ხაბაზაშვილი, თ. ხიდაშელი და სხვ. მათ მოაწყეს დიასახლის ამომრჩეველთა ექსკურსია სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტალინის ოთახში, სადაც დიასახლისებთან გაიმართა საუბარი დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

აგიტატორებმა თავიანთ საგიტაციო უბნებში მოაწყეს საუბრები თემებზე: „სტალინური კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა“, „კომუნიზმის გრანდიოზული მშენებლობანი და ჩვენი ამოცანები“, „ლენინის რაიონი წინათ და ახლა“ და სხვ.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. ბერიას რაიონში №9 საარჩევნო უბნის ცენტრი, რომელიც მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ვოროშილოვის სახელობის კლუბის შენობაშია (რუსთაველის პროსპექტი № 2), მოუწყობელი და გაუფორმებელია. აქვე მოთავსებულ აგიტპუნქტში არც ერთი წიგნი და გაზეთი არ არის. არა აქვთ რადიო. კედლის გაზეთის გამოცემაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შედგენილი არ არის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა და აგიტატორთა მორიგეობის განრიგი.

22 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საარჩევნო უბანში შემოვიდა მოქალაქე ანტონინა სტეფანეს ასული მარკოვა. იგი იქვე, რუსთაველის პროსპექტის № 2 სახლში ცხოვრობს, სადაც საარჩევნო უბნის ცენტრია. დიდხანს ეძება მარკოვამ თავისი გვარი ამომრჩეველთა სიებში, მაგრამ ამაოდ. და არა მარტო მან, ამ სახლში მცხოვრები 24 ამომრჩეველი სიებში შეტანილი არ აღმოჩნდა.

№ 20 საარჩევნო უბნის ცენტრში, რომელიც კიროვის რაიონში ქალთა მეოთხე საშუალო სკოლის შენობაშია მოთავსებული, ამომრჩეველთა სიებში ბევრი დამახინჯებაა. მაგალითად, მოქალაქე ბეზირგანიანის გვარი ბერზაგანიანად წერია. ასეთი მაგალითი სხვაც ბევრია. ამომრჩეველთა რიგითი ნომრებიც გადასწორებულია. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა ა. საგინაშვილმა და აგიტპუნქტის მორიგე აგიტატორმა ე. მგალობლიშვილმა არც კი იცოდნენ, რომელი ნომერია მათი უბანი, რამდენი საარჩევნო ოლქი შედის მასში ან ვინ არის წამოყენებული დეპუტატობის კანდიდატად. ამიტომ არის, რომ ამომრჩევლებიც იშვიათად მოდიან საარჩევნო უბნის ცენტრში. 22 ნოემბერს ა. საგინაშვილისა და ე. მგალობლიშვილის მყუდროება არავის დაურღვევია.

თავისი საარჩევნო უბნის ნომერს ასევე ვერ გიპასუხებთ № 21 უბნის (ივანიძის ქუჩა № 19) აგიტპუნქტის მორიგე აგიტატორი ნ. ჯიხვაძე. საარჩევნო უბნის ცენტრში, რომელიც საზკვებტრესტის შენობაშია მოთავსებული, დაწესებული არ არის კომისიის წევრთა მორიგეობა, აგიტპუნქტი ღარიბია საარჩევნო ლიტერატურით, ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებაც კი არა აქვთ. მაგიდაზე არც ერთი გაზეთი არ არის. ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. თ. ყუფარაძე და საზკვებტრესტის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი მ. პატარიძე უმოქმედობას რომ არ იჩენდნენ.

მსგავს ნაკლოვანებებს ვხვდებით № 37 (კონსტიტუციის ქუჩა № 6, სტალინის რაიონი), № 3 (ლენინის ქუჩა № 43, ორჯონიკიძის რაიონი) და სხვა საარჩევნო უბნებში.

საგიტაციო-მასობრივ მუშაობასთან ერთად არჩევნების ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადება დიდმნიშვნელოვანი საქმეა. მას პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოვეკიდოთ.

ა. გოცირიძე
ს. არლუნელი

მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები

★ ★

ყვარელი

შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრებას 500-ზე მეტი კოლმეურნე დაესწრო. ამომრჩევლები შეიკრიბნენ იმისათვის, რომ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოეყენებინათ ის, ვინც ბეჯითი შრომით დაამტკიცა სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა განაცხადა:

— ჩვენი კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძლიერია. ამ შემოდგომაზე 900 ჰექტარი ხორბალი დავთესეთ, აქედან ახლად ათვისებულ მიწებზე 120 ჰექტარი. წინა წლებთან შედარებით. შრომადღის ღირებულება 40-50 პროცენტით გადიდდა. ამ წარმატებებში თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვასილ ცისკარიშვილს. წინადადება შემომაქვს ყვარლის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ ამხ. ვასილ ცისკარიშვილი.

ამხ. ნიკოლოზიშვილის წინადადებას კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი და დაადგინა: ყვარლის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ვასილ ცისკარიშვილი.

ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დ. მ. მირიანაშვილი.

რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან: რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ალიხან ავაზაშვილი, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. სიკო ბუჯიაშვილი, მტს-ის დირექტორი ამხ. მიხეილ ბარბაქაძე, რაიონული გაზეთის რედაქტორი ამხ. გიორგი ქველიშვილი, წარჩინებული ტრაქტორისტი ნასყიდა მეტრეველი, სტახანოველი კოლმეურნე ქალები: ანა ბიძინაშვილი, ანა მოდებაძე, ნინო ელიზბარაშვილი და სხვები. **(საქ. კორ.).**

—о—

გურჯაანი

საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრებები გაიმართა. კრებებზე რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენეს მოწინავე ადამიანები.

გურჯაანის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანმა ამხ. თ. აბრამიშვილმა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა პარტიის რაიკომის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ივანე ალექსის-ძე ფეიქრიშვილი.

ამხ. აბრამიშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს ამხანაგებმა ა. რუსაძემ და ო. მდივნიშვილმა.

რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გურჯაანის ღვინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა წამოაყენეს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ადამ ისაკის-ძე ჩიგილაშვილი; დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებული არიან წარჩინებული კოლმეურნე ქალები: ელენე ნატროშვილი, ვარა ბიწკინაშვილი, ეკატერინე ხუნჯუაშვილი და მარიამ ნაცვალაშვილი, ინჟინერი ელენე ჩიგიტაშვილი, გურჯაანის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შალვა მაჭავარიანი. **(საქ. კორ.).**

—о—

გორი

ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში წინასაარჩევნო კრებაზე გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენეს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. დავით რომელაშვილი, ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ხარაული და მოწინავე ლექტორი სიმონ ხოჯევანიშვილი.

საკონსერვო ქარხანაში შედგა წინასაარჩევნო კრება. ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ ჩუბინიშვილი, ქარხნის დირექტორი პეტრე საყვარელიძე, სტახანოველი მეკონსერვეები თამარ მაჭარაშვილი და ეკატერინე წერეთელი, აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გორის განყოფილების უფროსი ამხ. გ. ცერცვაძე.

საქალაქო საბჭოს დეპუტატობის დასახელებულ კანდიდატთა შორის არიან: საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლები ილია კაპანაძე, ილია ალიხანოვი, მარიამ თავდგირიძე, ხორცკომბინატის დირექტორი ს. კიკნაძე, საბავშვო ბაღის გამგე ვ. მღებროვა, ბამბეულის კომბინატის დირექტორი გ. მამუჩაშვილი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. გელაშვილი. **(საქ. კორ.).**

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ფართოდ გავავრცელოთ ქარხანა „დაზგის“ კოლექტიური სტახანოვური მუშაობის გამოცდილება

საწარმოო უბნების მოწინავე სტახანოვურ უბნებად გადაქცევის, სტახანოვურ და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ქარხნის წოდების უფლების მოპოვებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის დაზგათმშენებელი ქარხანა „დაზგის“ კოლექტივმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა. ქარხნის ყველა მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი და ოსტატი მონაწილეობს შეჯიბრებაში, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ქარხანაში არ არის არც ერთი მუშა, რომელიც გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებდეს, კარგად არის მოწესრიგებული თვალსაჩინო აგიტაცია, წარმოების მოწინავე ადამიანთა მუშაობის მეთოდების ჩვენება. ქარხნის ხელმძღვანელებმა მუშა-მოსამსახურეები ფართოდ ჩააბეს პროგრესული ტექნიკურ-საწარმოო და საფინანსო გეგმების დამუშავებაში. ეს გეგმები წარმოების ნოვატორთა წინადადებებისა და ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების, აგრეთვე მაღალნაყოფიერი ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე ითვალისწინებენ შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინო გადიდებას.

წარმოებაში ფართოდ ინერგება ლითონის ჩქარი დამუშავების მეთოდები. ქარხნის კოლექტივმა აითვისა და მასობრივად ამზადებს უახლეს უნივერსალურ ხრახნსაჭრელ დაზგებს. ქარხანამ წარმატებით აითვისა ჰიდრავლიკური ამძრავიანი ხრახნსაგლინავი დაზგა. საჭრისებისა და ინსტრუმენტების ელექტრონაპერწკლებით გამკვრივების მასობრივი გამოყენების საშუალებით, აგრეთვე მათდამი ფრთხილი მოპყრობის გზით ქარხანაში მიაღწიეს საჭრისებისა და ინსტრუმენტების გამოყენების დროის საგრძნობ გახანგრძლივებას და ძვირად ღირებული მაგარი შენადნობების ეკონომიას.

ქარხნის ოსტატები და პროფრწმუნებულები წარმოებაში სამეურნეო ანგარიშის აქტიური გამტარებლები, სოციალისტური შეჯიბრების ნამდვილი ორგანიზატორები არიან. საამქროთა უფროსები და ოსტატები წარმატებით ნერგავენ უახლეს ტექნიკას, რაციონალურად აწყობენ შრომას, მუდამ სუფთად და წესრიგზე აქვთ სამუშაო ადგილი, ყველა მუშას უქმნიან მაღალნაყოფიერი შრომის პირობებს, წარმოებაში ახლად მოსულ მუშებს ეხმარებიან კვალიფიკაციის ამაღლებასა და შრომის მოწინავე მეთოდების ათვისებაში. ქარხნის ყველა საამქრო გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე. უზრუნველყოფილია რიტმული მუშაობა, წარმოების ტემპის განუხრელი ზრდა.

ქარხნის ყველა მუშამ დაამთავრა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და სტახანოვური სკოლები. მუშათა დიდი უმრავლესობა წარმატებით იმაღლებს საერთო განათლების დონეს. ცნობილმა სტახანოველმა ზეინკალ-ამწყობმა ს. გეჯაძემ ახალი ხუთწლედის ოთხ წელსა და 9 თვეში 24 წლის ნორმა შეასრულა. წარმოების ათობით სტახანოველს ამ ხნის განმავლობაში 10-16 წლის ნორმები აქვს შესრულებული.

საქარხნო კომიტეტი და პროფჯგუფორგები კარგად აწყობენ და ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, აქტიურად უჭერენ მხარს და ავრცელებენ სტახანოველთა ინიციატივას. შეჯიბრების შედეგებს ყოველდღე აცნობენ შეჯიბრებულთ. ქარხანაში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება კომუნიზმის დიდ მშენებლობათა დაკვეთების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ქარხანა „დაზგაში“ გაწეულმა დიდმა მუშაობამ საწარმოს მთელი კოლექტივის აქტიურ საწარმოო მუშაობაში ჩაბმისათვის და ყოველდღიურმა ბრძოლამ სიახლეთა დანერგვისათვის უზრუნველყვეს თვალსაჩინო წარმატებათა მოპოვება. დაზგების გამოშვების ხუთწლიანი გეგმა ქარხნის კოლექტივმა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის შეასრულა და 20 ოქტომბრამდე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით დიდძალი ლითონსაჭრელი დაზგა გამოუშვა. ხუთწლედის ბოლოსათვის დაზგების გამოშვება 1946 წელთან შედარებით ორნახევარჯერ გაიზრდება. საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით, მესამე კვარტალისა — 117,9 პროცენტით. თვალსაჩინოდ გადაჭარბებულია ყველა ხარისხობრივი მაჩვენებელი. ქარხანა მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებს. მუშათა შრომის ნაყოფიერება წელს 1946 წელთან შედარებით ორნახევარჯერ გადიდდა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ქარხანა „დაზგის“ კოლექტივის კოლექტიური სტახანოვური მუშაობის შედეგები და მიიღო დადგენილება, რომ ამ მეთოდების რესპუბლიკის სხვა საწარმოებში ფართოდ გავრცელების მიზნით ნოემბერში მოწვეულ იქნას თბილისის საწარმოების სტახანოველთა, პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციების საქალაქო თათბირი, რომელზეც მოსმენილი და განხილული იქნება ქარხანა „დაზგის“ დირექტორის ამხ. ა. ბოკერიას და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბ. ქუთათელაძის მოხსენებები.

დაისვა საკითხი სსრ კავშირის დაზგათმშენებელი მრეწველობის სამინისტროსა და დაზგათმშენებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წინაშე ქარხანა „დაზგისათვის“ კოლექტიური სტახანოვური მუშაობისა და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ქარხნის წოდების მინიჭების შესახებ.

პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს დაევალა სისტემატურად მოაწყონ პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციებისა და სტახანოველთა დარგობრივი თათბირები საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადებისა და საამქროების მუშაობის მეთოდების ურთიერთგაზიარებისა და ყველა საწარმოში გავრცელებისათვის.

ახალგაზრდა სპეციალისტთა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია

ჭიათურა. (საქ. კორ.). კომკავშირის საქალაქო კომიტეტის თაოსნობით მოეწყო ახალგაზრდა სპეციალისტთა პირველი საქალაქო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია.

კონფერენციისათვის მზადება ორი თვით ადრე დაიწყო. გაიმართა ახალგაზრდა სპეციალისტთა თათბირი, განაწილდა თემები, მომხსენებლებს კონსულტაციას უწევდნენ გამოცდილი სპეციალისტები.

პირველ სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ლენინის სახელობის მაღაროს ახალგაზრდა ინჟინრის გ. ჩაჩანიძის მოხსენება — „ჭიათურის მარგანეცის საბადოს რაციონალური დამუშავების მეთოდები“. დიმიტროვის სახელობის მაღაროში აკადემიკოს გ. წულუკიძის მეთოდით გადასატანი ბიგების გამოყენება-დანერგვაზე მუშაობს ახალგაზრდა ინჟინერი ვ. კურცხალია. კონფერენციისათვის მან მოამზადა საინტერესო მოხსენება თემაზე: „გამაგრების სახეები და გადასატანი ბიგის მოწყობილობანი“. ლენინის სახელობის მაღაროს ახალგაზრდა ინჟინერ-მექანიკოსი ა. მგალობლიშვილი კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით მარგანეცის მრეწველობის კონიური სამტვრევლას გამოყენების შესახებ.

მეორე სხდომაზე მოისმინეს ახალგაზრდა ინჟინერ-მშენებლის ბ. ბოგველიძის მოხსენება — „წყალსადენის სისტემები და ქსელის დაპროექტება“. საინტერესო იყო ინჟინერ-მარკშეიდერის გ. ჩალათაშვილის მოხსენება თემაზე: „ლენინის სახელობის მაღაროს მთავარი შტოლნის შემხვედრი სანგრევების მოსალოდნელი აცილების წინასწარი ანგარიში“. ეს საკითხი მან გაამუშა ტრიანგულაციის მეთოდით. იგივე საკითხი პოლიგონომეტრიის მეთოდით გაამუშა ინჟინერმა ა. ცინცაძემ. კონფერენციაზე შინაარსიანი მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტებმა შ. კოპალეიშვილმა და მ. შეყლაშვილმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის დეკანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ტყემალაძე, ამავე ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი თამარ გურო და შრომის დაცვის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი შ. ჭილაშვილი. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მარგანეცის ტრესტის განყოფილებათა უფროსებმა, ინჟინრებმა მ. ბრეგვაძემ, შ. პაქსაშვილმა და სხვ.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა მარგანეცის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა, ინჟინერ-მეტალურგთა სამეცნიერო საზოგადოების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ დ. გელაშვილმა.

მძლავრი სასოფლო ელსადგური

გულრიფში. (საქ. კორ.). დიდი ოქტომბრის რევოლუციის 33-ე წლისთავზე რაიონში დაწესებულ ვადაზე ადრე ამუშავდა სასოფლო ჰიდროელსადგური მდინარე ჯამპალაზე — ხეჯპესი. იგი 500 ცხენის ძალისაა და ელექტროენერგიას აწვდის მაღალმთიანი სოფლების — ხევის, აზანთის, წებელდისა და ოქტომბრის 13 კოლმეურნეობას.

ხეჯპესის მშენებლობის მოცულობაზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი ციფრები: წელს მთავარი არხის, სადერივაციო თხრილისა და საგენერატორო შენობის მშენებლობაზე ყოველდღიურად ორი ათასამდე კოლმეურნე მუშაობდა. მათ გაჭრეს სალი კლდე, შეასრულეს 35 ათასი კუბმეტრი მიწაკლდის სამუშაო, გაიყვანეს გადამცემი ხაზი, ააგეს რამდენიმე ქვესადგური.

ეს სამუშაოები ძირითადად სოფლების წებელდის, ხევისა და ოქტომბრის კოლმეურნეობათა წევრებმა შეასრულეს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხევის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ლ. კალანდიამ, ა. კუხალეიშვილმა, ვ. ნიკოლაიშვილმა, მ. ჯურხაძემ და სხვებმა. მათ აქ, მშენებლობაზე ახალი სპეციალობაც ისწავლეს.

ელექტროსადგურის აგებით მაღალმთიანი სოფლების კოლმეურნეობებს საშუალება მიეცათ კოლმეურნეთა ოჯახების განათებასთან ერთად ელექტროენერგიით ამუშაონ წისქვილები, ხე-ტყის სახერხი და ავეჯის ქარხნები, სასოფლო რადიოკვანძები.

იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე

ამა წლის 26 ოქტომბერს ნიუ-იორკში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველმა ბ-ნმა დალესმა გადასცა სსრ კავშირის წარმომადგენელს უშიშროების საბჭოში ი. ა. მალიკს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შემდეგი შინაარსის ნოტა იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე:

„ქვემოთ მოყვანილია მოკლე ზოგადი განცხადება იმის შესახებ, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აზრით რაგვარი ხელშეკრულება იქნებოდა შესაფერისი იმისათვის, რომ დამთავრდეს ომის მდგომარეობა იაპონიასთან. ამასთან ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ეს განცხადება საბოლოო არ არის და საცდელია, და იგი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ დააკისრებს ვალდებულებას რაიმე მომავალი პროექტის დეტალთა თუ ფორმულირებათა შინაარსის მხრივ. იგულისხმება, რომ მას შემდეგ, რაც შესაძლებელი იქნება ამ პროექტის შესწავლა, მოხდება მთელი რიგი არაოფიციალური მოლაპარაკება, რომლის მიზანიც იქნება მისი შემდგომი დამუშავება და ყოველი იმ პუნქტის გამორკვევა, რომელიც შესაძლოა პირველი შეხედვით ბუნდოვანი გვეჩვენოს.

შეერთებული შტატების წინადადებაა დაიდოს იაპონიასთან ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ბოლოს მოუღებდა ომის მდგომარეობას, აღადგენდა იაპონიის სუვერენიტეტს და დააბრუნებდა იაპონიას როგორც თანასწორუფლებიან მონაწილეს თავისუფალ ხალხთა საზოგადოებაში. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებს, ხელშეკრულებამ უნდა ასახოს ქვემოთმოყვანილი პრინციპები:

1. მონაწილენი. ყოველი ან ყველა ერი, რომელიც ომის მდგომარეობაშია იაპონიასთან და მზად არის დადოს საზავო ხელშეკრულება წამოყენებულ საფუძველზე და ისე, როგორც შესაძლებელია შეთანხმებულ იქნას.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. გათვალისწინებული იქნება წევრობა იაპონიისათვის.

3. ტერიტორია. იაპონია (a) ცნობს კორეის დამოუკიდებლობას; (в) დათანხმდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობაზე კუნძულების რიუკიუსა და ბონინის მიმართ, ამასთან ამერიკის შეერთებული შტატები იქნებიან მმართველი ხელისუფლება, და (c) მიიღებს შეერთებული სამეფოს, სსრ კავშირის, ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მომავალ გადაწყვეტილებას ფორმოზის, პესკადორის კუნძულების, სამხრეთ სახალინისა და კურილის კუნძულების სტატუსის შესახებ. უკეთუ არავითარი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში, საკითხს გადაწყვეტს გენერალური ასამბლეა. გამოცხადდება ხელის აღება სპეციალურ უფლებებსა და ინტერესებზე ჩინეთში.

4. უშიშროება. ხელშეკრულება გაითვალისწინებს, რომ უშიშროების უზრუნველყოფის დამაკმაყოფილებელ ალტერნატიულ ღონისძიებათა მიღებამდე, — ისეთ ღონისძიებათა, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ეფექტიანი პასუხისმგებლობის აღება თავის თავზე, — გაგრძელდება იაპონიის ორგანოთა და ამერიკის ჯარების, ხოლო შესაძლოა, სხვა ჯარების ერთობლივი პასუხისმგებლობაც იაპონიის რაიონში საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის.

5. პოლიტიკური და სავაჭრო დებულებანი. იაპონია დათანხმდება შეუერთდეს მრავალმხრივ ხელშეკრულებებს ნარკოტიკებისა და თევზჭერის შესახებ. ომამდელ ორმხრივ ხელშეკრულებათა განახლება შესაძლებელი იქნებოდა ურთიერთ შეთანხმებით. სანამ ახალი სავაჭრო ხელშეკრულებები დაიდებოდეს, იაპონია უზრუნველყოფს ნორმალური გამონაკლისებით უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმს.

6. პრეტენზიები. ხელშეკრულების ყველა მონაწილე უარს იტყვის ომის იმ აქტებიდან გამომდინარე პრეტენზიებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1945 წლის 2 სექტემბრამდე, გარდა იმისა, რომ (a) მოკავშირე სახელმწიფოები, როგორც წესი, იაპონიის საკუთრებას დაიკავებენ თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში, და (в) იაპონია დააბრუნებს მოკავშირეთა საკუთრებას ან, თუ შეუძლებელი იქნება მისი უვნებლად დაბრუნება, გადაიხდის თანხას იენებით, რათა აანაზღაუროს დაკარგული ღირებულების პროცენტი, რომელიც შეთანხმებით განისაზღვრება.

7. დავა. პრეტენზიათა გამო დავას მოაწესრიგებს სპეციალური ნეიტრალური ტრიბუნალი, რომელიც უნდა შექმნას საერთაშორისო სასამართლოს თავმჯდომარემ. სხვა დავა გადაეცემა მოსაწესრიგებლად ან დიპლომატიური გზით, ან საერთაშორისო სასამართლოს საშუალებით“.

20 ნოემბერს ი. ა. მალიკმა საბჭოთა მთავრობის დავალებით ბ-ნ დალესს გადასცა შემდეგი შინაარსის სამახსოვრო ბარათი:

„სამახსოვრო ბარათი

ამა წლის 26 ოქტომბერს ბ-ნმა დალესმა ი. ა. მალიკთან საუბრის დროს გადასცა მას იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე მემორანდუმი, რომელიც შეიცავს მოკლე ზოგად განცხადებას იმის შესახებ, თუ რაგვარი ხელშეკრულება იქნებოდა შესაფერისი, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აზრით, იმისათვის, რომ დამთავრდეს იაპონიასთან ომის მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობისათვის სასურველი იქნებოდა მიეღო განმარტება ამ მემორანდუმის ზოგიერთ პუნქტზე.

1. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, ჩინეთმა, სსრ კავშირმა და მთელმა რიგმა სხვა სახელმწიფოებმა, რომლებმაც 1942 წლის 1 იანვარს ვაშინგტონში ხელი მოაწერეს გაერთიანებული ერების დეკლარაციას, ვალდებულება იკისრეს არ დაედოთ სეპარატული ზავი მტრულ სახელმწიფოებთან.

რამდენადაც არსებობს ზემოაღნიშნული ვალდებულება, სასურველია მივიღოთ განმარტება, მხედველობაშია იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, რომლის მონაწილენიც უნდა იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი და სსრ კავშირი, რომელთა სახელითაც ხელმოწერილ იქნა პირობები კაპიტულაციისა იაპონიისათვის, აგრეთვე ყოველი ქვეყანა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა იაპონიის წინააღმდეგ ომში, თუ დაშვებულია იაპონიასთან სეპარატული საზავო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა მხოლოდ ზოგიერთი ზემოდასახელებული სახელმწიფოს მონაწილეობით.

2. კაიროს 1943 წლის 1 დეკემბრის დეკლარაციით, რომელსაც ხელს აწერენ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი, და პოტსდამის 1945 წლის 26 ივლისის დეკლარაციით, რომელსაც ხელს აწერენ იგივე ქვეყნები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი შეუერთდა, გადაწყვეტილია ჩინეთისათვის ფორმოზისა და პესკადორის კუნძულების დაბრუნების საკითხი. ამგვარადვე იალტის 1945 წლის 11 თებერვლის შეთანხმებით, რომელსაც ხელს აწერენ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და სსრ კავშირი, გადაწყვეტილია საბჭოთა კავშირისათვის კუნძულ სახალინის სამხრეთ ნაწილისა და მისი მომიჯნავე კუნძულების დაბრუნების და საბჭოთა კავშირისათვის კურილის კუნძულების გადაცემის საკითხი.

რამდენადაც არსებობს აღნიშნული შეთანხმებები, როგორ უნდა იქნეს გაგებული მემორანდუმში გათვალისწინებული წინადადება, რომ ფორმოზის, პესკადორის კუნძულების, სამხრეთ სახალინისა და კურილის კუნძულების სტატუსის საკითხი ხელახლა გადასაწყვეტად გადაეცეს ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, ჩინეთსა და სსრ კავშირს, ხოლო უკეთუ ხსენებული სახელმწიფოები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ ერთი წლის განმავლობაში, გადასაწყვეტად გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

3. არც კაიროს დეკლარაციაში, არც პოტსდამის დეკლარაციაში ნათქვამი არ არის, რომ კუნძულები რიუკიუ და ბონინი გამორიცხულ უნდა იქნან იაპონიის სუვერენიტეტიდან, ამასთან ამ დეკლარაციის ხელმომწერმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ მათ „აზრად არა აქვთ ტერიტორიული ექსპანსია“.

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა,—რას ემყარება მემორანდუმში გათვალისწინებული წინადადება იმის შესახებ, რომ კუნძულები რიუკიუ და ბონინი სამეურვეოდ გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ამასთან შეერთებული შტატები წარმოადგენდნენ მმართველ ხელისუფლებას.

4. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იაპონელი ხალხი დიდ ინტერესს იჩენს იმისადმი, დარჩებიან თუ არა საოკუპაციო ჯარები იაპონიაში საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, მით უმეტეს, რომ პოტსდამის დეკლარაციაში (პუნქტი 12) გათვალისწინებულია, რომ საოკუპაციო ჯარები გაყვანილ იქნებიან იაპონიიდან.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობისათვის სასურველი იქნებოდა სცოდნოდა, მიღებულია თუ არა მხედველობაში, რომ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის განსაზღვრული ვადა, როგორც ეს გათვალისწინებულია სხვა სახელმწიფოებთან უკვე დადებული საზავო ხელშეკრულებებით.

5. შორეული აღმოსავლეთის კომისიის წევრ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებული 1947 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება, მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით, ითვალისწინებს, რომ იაპონიას არ ეყოლება არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და სამხედრო-საჰაერო ძალები. ხოლო მემორანდუმში, რომელშიც ჩამოყალიბებულია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია იაპონიის რაიონში უშიშროების შესახებ, აღნიშნულია „იაპონიის ორგანოთა და ამერიკის ჯარების, ხოლო, შესაძლოა, სხვა ჯარების ერთობლივი პასუხისმგებლობაც იაპონიის რაიონში საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის“.

რამდენადაც მემორანდუმში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული „ერთობლივი პასუხისმგებლობა“ იაპონიის რაიონში საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის, საბჭოთა მთავრობისათვის სასურველი იქნებოდა მიეღო განმარტება ორ შემდეგ საკითხზე:

პირველი, ნაგულისხმევია თუ არა მოხსენიებული „ერთობლივი პასუხისმგებლობის“ დროს იაპონიის შეიარაღებული ძალების, ე. ი. იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის და იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალების, აგრეთვე იაპონიის შესაბამისი გენერალური შტაბების შექმნა.

მეორე, ნიშნავს თუ არა მოხსენიებული „ერთობლივი პასუხისმგებლობა“, რომ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგაც იაპონიის ტერიტორიაზე დარჩება ამერიკის სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები.

6. მემორანდუმში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ საჭიროა იაპონელი ხალხისათვის უზრუნველყოფილ იქნას მისი სამშვიდობო ეკონომიკის თავისუფლად განვითარების შესაძლებლობა.

საბჭოთა მთავრობას სურს მიიღოს განმარტება, მიღებულია თუ არა მხედველობაში, რომ ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას დებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ იაპონიის სამშვიდობო ეკონომიკის განვითარების ყოველგვარი შეზღუდვის გაუქმებას და იაპონიისათვის ნედლეულის რესურსების გამოყენების საშუალების მიცემას, აგრეთვე მის თანასწორუფლებიან მონაწილეობას მსოფლიო ვაჭრობაში.

* * *

რამდენადაც სავსებით ცხადია, რომ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხით განსაკუთრებით დაინტერესებულია ჩინეთი, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში განიცდიდა აგრესიას იაპონელი მილიტარისტების მხრივ, საბჭოთა მთავრობას სურს იცოდეს, რა კეთდება იმისათვის, რომ გამორკვეულ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისი ამ საკითხზე.

თავისთავად იგულისხმება, რომ საჭირო იქნება განმარტება ამა თუ იმ საკითხზე, რომელიც შესაძლოა, წარმოიშვას, კერძოდ, მას შემდეგ, რაც გამოირკვევა სხვა სახელმწიფოების პოზიცია ამერიკის შეერთებული შტატების მემორანდუმის მიმართ“.

ბ-ნმა დალესმა განაცხადა, რომ სამახსოვრო ბარათში დასმულ კითხვებზე გაცემულ იქნება წერილობითი პასუხი. (ტასსი).

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი

საბოლოო სხდომა

ვარშავა, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს შედგა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის საბოლოო სხდომა. პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარემ ნენიმ (იტალია) მოახსენა კონგრესს, რომ კომისია პლენარული სხდომის განსახილველად გადასცემს ორ დოკუმენტს: მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მანიფესტს და მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი.

ნენიმ წაიკითხა ორივე დოკუმენტის ტექსტი. მას არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე ტაშით.

შემდეგ კონგრესის სხდომა შეწყდა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო კენჭისყრა ყოველ დელეგაციაში. დელეგაციები იკრიბებიან ცალცალკე ჯგუფებად; ისინი კითხულობენ დოკუმენტებს და მსჯელობენ მათ შესახებ. გაისმის მქუხარე ტაში. ეს ნიშნავს, რომ კენჭისყრას ამთავრებენ ცალკეული დელეგაციები და მიესალმებიან კონგრესის გადაწყვეტილებას.

როდესაც სხდომა განახლდა, ერთსულოვნად მიღებულ იქნა პაბლო ნერუდას (ჩილი) მიერ წარდგენილი რეზოლუცია რეპრესიების მსხვერპლთა საკითხზე.

ნენი აცხადებს, რომ ორი ძირითადი დოკუმენტის კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1.755 კაცმა. 1.750 კაცმა ხმა მისცა მათს მიღებას, სამმა კაცმა წინააღმდეგ მისცა ხმა, ორმა — თავი შეიკავა.

ამრიგად, განაცხადა ნენიმ, შეიძლება ვთქვათ, რომ მანიფესტი და მიმართვა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესმა თითქმის ერთხმად მიიღო.

დარბაზში ყველანი ფეხზე დგებიან. დიდხანს გაისმის ტაში და შეძახილები: „მშვიდობა! მშვიდობა! მშვიდობა!"

ნენიმ აგრეთვე განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიიდან, იტალიიდან, დანიიდან, საფრანგეთიდან, შვეციიდან, კანადიდან და პოლანდიიდან ჩამოსულმა 50-ზე მეტმა სტუმარმა და მეთვალყურემ თხოვნით მიმართა შესაბამის დელეგაციათა მეთაურებს ჩათვალონ ისინი დელეგატებად და ნება მისცენ მათ მონაწილეობა მიიღონ ისტორიული დოკუმენტებისთვის კენჭისყრაში. მათ მიეცათ ნებართვა, და ყოველმა მათგანმა ხმა მისცა ორივე დოკუმენტის მიღებას.

დე შამბრენმა (საფრანგეთი) განაცხადა, რომ კონგრესის პრეზიდიუმის ბიურო და სამდივნო კონგრესის განსახილველად ადგენენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კანდიდატების სიას. ამ სიაში შეტანილ იქნენ დელეგაციების მიერ წარმოდგენილი კანდიდატები. კონგრესის გადაწყვეტილება ითვალისწინებს, რომ საბჭოს უფლება აქვს მოახდინოს დამატებითი წევრების კოოპტაცია.

შემდეგ დე შამბრენმა წაიკითხა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრობის კანდიდატთა სია. კონგრესმა უდიდესი აღფრთოვანებით დაამტკიცა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს შემადგენლობა. წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ ერთმა კაცმა.

ნენი მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესს დახურულად აცხადებს. მან კონგრესისა და მშვიდობის ყველა მომხრის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას, ქალაქ ვარშავის რადა ნაროდოვას, მშვიდობის მომხრეთა სრულიად პოლონეთის კომიტეტს და მთელ პოლონელ ხალხს სტუმართმოყვარეობისათვის, რაც მათ გაუწიეს მშვიდობის მომხრეებს ვარშავაში; მადლობა გადაუხადა აგრეთვე მშვიდობის მომხრეთა ჩეხოსლოვაკიის კომიტეტს, რომელმაც საუცხოოდ მოაწყო დელეგატების გამგზავრება ვარშავაში პრაღაზე გავლით, და ინგლისელ მეგობრებს, რომლებიც მუშაობდნენ შეფილდში კონგრესის მოსამზადებლად. **(მქუხარე ტაში).**

ნენიმ განაცხადა, რომ კონგრესი გადასცემს მშვიდობის პრემიებს და რომ პირველი პრემია მინიჭებული აქვს იმ ადამიანს, რომელმაც სიცოცხლე შესწირა მშვიდობის საქმეს—იულიუს ფუჩიკს **(მქუხარე ოვაცია).** ნენიმ დასძინა, რომ კონგრესის მონაწილენი მშვიდობის საქმის გამარჯვების მსურველი ყველა ადამიანისაგან მოელიან ისეთსავე ერთგულებას ყველა იმ პრინციპისადმი, რომლებსაც სიცოცხლე შესწირა ამ მამაცმა მებრძოლმა მშვიდობის საქმისათვის.

დელეგატები ფეხზე დგებიან. დარბაზში დიდხანს გაისმის ტაში და შეძახილები „გაუმარჯოს მშვიდობას!"

მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

შექმნეს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ხალხებმა მასზე დიდი იმედები დაამყარეს. ამათგან ყველაზე დიდი იმედი მშვიდობის იმედია.

მაგრამ ომმა დღეს უკვე დაარღვია ზოგიერთი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება, ხვალ კი მთელი კაცობრიობის მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევას გვიქადის. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ ამართლებს იმ მთავარ იმედს, რომელსაც მასზე ამყარებდა მსოფლიოს ყველა ხალხი, როგორც ის ხალხები, რომელთა მთავრობებს წარმომადგენლები ჰყავთ ამ ორგანიზაციაში, ისე ის ხალხებიც, რომლებსაც იქ ჯერ არა ჰყავთ წარმომადგენლები, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს კაცობრიობის სიმშვიდესა და მშვიდობას, ეს იმიტომ ხდება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აღმოჩნდა იმ ძალების გავლენაში, რომლებმაც უგულებელყვეს საყოველთაო მშვიდობისაკენ მიმავალი ერთადერთი შესაძლებელი გზა — საყოველთაო თანხმობის ძიება.

თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სურს გაამართლოს იმედები, რომლებსაც კაცობრიობა ჯერ კიდევ ამყარებს მასზე, იგი უნდა დაუბრუნდეს იმ გზას, რომელიც მისი დაარსების დღიდან დაუსახეს მას ხალხებმა, და როგორც პირველი ნაბიჯი ამ გზაზე, უზრუნველყოს ხუთი დიდი სახელმწიფოს—ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონფერენციის რაც შეიძლება მალე მოწვევა არსებული უთანხმოებების განხილვისა და მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი, რომელიც შედგება 80 ქვეყნის დელეგატებისაგან და წარმოადგენს მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ნამდვილ ხმას, მტკიცედ მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და საკანონმდებლო ორგანოებმა, რომელთა წინაშეც პასუხისმგებელი არიან სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, დაუყოვნებლივ განიხილონ შემდეგი წინადადებანი, რომლებიც მიმართულია მშვიდობის აღდგენისა და შენარჩუნებისაკენ, ყველა ქვეყანას შორის, განურჩევლად მათი სოციალური სისტემისა, ნდობის აღდგენისა და შენარჩუნებისაკენ:

1. ჩვენ, შეშფოთებულნი იმით, რომ ამჟამად კორეაში წარმოებულ ომს არა მარტო უთვალავი უბედურება მოაქვს კორეელი ხალხისათვის, არამედ იმასაც გვიქადის, რომ გადაიქცეს ახალ მსოფლიო ომად, მტკიცედ მოვითხოვთ, რომ შეწყდეს ეს ომი, კორეიდან გაყვანილ იქნან უცხოეთის არმიები და კორეის ორივე ნაწილის საშინაო კონფლიქტი მშვიდობიანად მოწესრიგდეს კორეელი ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, რომ ეს საკითხი გადაწყვიტოს უშიშროების საბჭომ მთელი თავისი შემადგენლობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლების ჩათვლით. ჩვენ მოვუწოდებთ შეწყდეს ამერიკის ჯარების ინტერვენცია ჩინეთის კუნძულ ტაივანზე (ფორმოზა) და ვიეტნამის რესპუბლიკის წინააღმდეგ წარმოებული საომარი მოქმედება, რომელშიც აგრეთვე იმალება მსოფლიო ომის საფრთხე.

2. ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ყოველგვარ იმ ცდებსა და ღონისძიებებს, რის მიღებითაც დარღვეულ იქნა საერთაშორისო შეთანხმებანი, რომელნიც კრძალავენ გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციას. ეს ცდები და ღონისძიებანი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ მშვიდობის საქმისათვის. ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გაერთიანებულ და დემილიტარიზებულ გერმანიასთან, ისევე როგორც იაპონიასთან, და ორივე ამ ქვეყნიდან გაყვანილ იქნან საოკუპაციო ჯარები.

3. იძულებითი ცდები, რომ ხალხები კვლავ იყოლიონ დამოკიდებულებისა და კოლონიური ჩაგვრის მდგომარეობაში, ჩვენ მიგვაჩნია საფრთხედ მშვიდობის საქმისათვის და ვაცხადებთ, რომ ამ ხალხებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლება აქვთ. ჩვენ ვილაშქრებთ ყოველი სახის რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ისინი მტრობას იწვევენ ხალხთა შორის და აგრეთვე წარმოადგენენ საფრთხეს მშვიდობისათვის.

4. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ვამხილოთ აგრესორთა ცდები—აურიონ თვით ცნება, თუ რა არის აგრესია, და ამრიგად შექმნან სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის საბაბი. ვერავითარი პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიური მოსაზრება, ამა თუ იმ სახელმწიფოს საშინაო მდგომარეობასთან ან საშინაო კონფლიქტებთან დაკავშირებული ვერავითარი მოტივი ვერ გაამართლებს ამა თუ იმ სახელმწიფოს შეიარაღებულ ჩარევას სხვა სახელმწიფოს საქმეებში. აგრესია იმ სახელმწიფოს დანაშაულებრივი აქტია, რომელიც პირველად იყენებს შეიარაღებულ ძალას სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რა საბაბითაც უნდა მოხდეს ეს.

5. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახალი ომის პროპაგანდა უდიდეს საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობიან თანამშრომლობას და ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ.

ჩვენ მივმართავთ ყველა ქვეყნის პარლამენტს მოწოდებით, რათა მიიღონ მშვიდობის დაცვის კანონი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ახალი ომის პროპაგანდისათვის, რა ფორმითაც უნდა წარმოებდეს იგი.

6. ყველა პატიოსან ადამიანს, განურჩევლად მათი პოლიტიკური რწმენისა, სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი ულმობელი მოსპობა მიაჩნია დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ საერთაშორისო ავტორიტეტულმა კომისიამ განიხილოს კორეაში ჩადენილი დანაშაულობანი და კერძოდ გენერალ მაკარტურის პასუხისმგებლობის საკითხი.

7. გამოვთქვამთ რა იმ ხალხთა საარსებო მოთხოვნებს, რომლებსაც მძიმე ტვირთად აწევთ სამხედრო ბიუჯეტები, გვსურს რა უზრუნველვყოთ მთელი კაცობრიობისათვის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა, ჩვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, პარლამენტებისა და ხალხების განსახილველად შემოგვაქვს შემდეგი წინადადებანი:

— აუცილებლად აიკრძალოს ყველა სახეობის ატომური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური იარაღი, მომწამლავი ნივთიერებანი, რადიაქტიური და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა საშუალება;

— სამხედრო დამნაშავედ გამოცხადდეს მთავრობა, რომელიც ამ იარაღს პირველი იხმარს.

მეორე მსოფლიო კონგრესი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა ხალხების წინაშე, საქვეყნოდ მოუწოდებს აგრეთვე დიდ სახელმწიფოებს და წინადადებით მიმართავს მათ მოახდინონ 1951-1952 წლების განმავლობაში მთელი შეიარაღებული ძალების—სახმელეთო, საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების პროგრესიული, ერთდროული და პროპორციული შემცირება $^1/_3$-$^1/_2$ ფარგლებში.

ასეთი ღონისძიება მტკიცე ზღვარს დაუდებს გამალებულ შეიარაღებას და შეამცირებს აგრესიის საფრთხეს. იგი ხელს შეუწყობს იმას, რომ შემსუბუქდეს სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს ხალხის ყველა ფენას. იგი აგრეთვე ხელს შეუწყობს საერთაშორისო ნდობის და ყველა სახელმწიფოთა შორის საჭირო თანამეგობრობის აღდგენას, როგორიც უნდა იყოს ამ სახელმწიფოთა წყობილება.

კონგრესი აცხადებს, რომ კონტროლი, რომელიც შეეხება ატომური იარაღის და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის, აგრეთვე ჩვეულებრივი იარაღის აკრძალვას და შეიარაღების შემცირებას, ტექნიკურად შეიძლება განხორციელებულ იქნას.

უშიშროების საბჭოსთან უნდა შეიქმნას საერთაშორისო საკონტროლო ორგანო, რომელსაც ეყოლება ავტორიტეტული ინსპექცია. ამ ორგანოს მოვალეობა უნდა იყოს კონტროლი როგორც შეიარაღების შემცირების, ისე ატომური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის აკრძალვის განხორციელებისადმი.

ქმედითი რომ იყოს, ამისათვის ეს კონტროლი არ უნდა ეხებოდეს მხოლოდ სამხედრო ძალებს, არსებულ შეიარაღებას და იარაღის წარმოებას, რაც გამოცხადებულია თვითეული ქვეყნის მიერ, არამედ, საერთაშორისო საკონტროლო კომისიის მოთხოვნით, იგი უნდა წარმოადგენდეს გამოცხადებულს გარდა ნავარაუდევი სამხედრო ძალების, არსებული შეიარაღებისა და იარაღის წარმოების ინსპექტირებას.

ეს წინადადებანი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ პირველი ეტაპია იმ საყოველთაო და სრული განიარაღების გზაზე, რომელიც მშვიდობის მომხრეთა საბოლოო მიზანს წარმოადგენს.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი რწმენას გამოთქვამს, რომ მშვიდობა არ შეიძლება გარანტირებულ იქნას, როცა ძალთა წონასწორობის გამონახვა გამალებული შეიარაღების საშუალებით ხდება. კონგრესი ამტკიცებს, რომ მის მიერ წარდგენილი ღონისძიებანი არავითარ სამხედრო უპირატესობას არ მისცემენ ამა თუ იმ მხარეს, რომ ისინი უდავოდ თავიდან აგვაცილებენ ომს, უზრუნველყოფენ უშიშროებას და გააუმჯობესებენ მსოფლიოს ყველა ხალხის კეთილდღეობას.

8. ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ მთელ რიგ ქვეყნებში სამხედრო ეკონომიკის შემოღება სულ უფრო ძლიერ არღვევს ქვეყნებს შორის ეკონომიურ კავშირს და როგორც ნედლეულის, ისე მრეწველობის ნაწარმის გაცვლას, დამღუპველ გავლენას ახდენს ბევრი ხალხის საარსებო დონეზე, აფერხებს სამეურნეო პროგრესს და საქმიან თანამშრომლობას ყველა ქვეყანას შორის და საბოლოო ანგარიშით არის წყარო კონფლიქტებისა, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს მშვიდობის საქმისათვის. ვიღებთ რა მხედველობაში ყველა ქვეყნის მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს, ვესწრაფვით რა საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, ჩვენ წინადადება შემოგვაქვს აღდგენილ იქნას ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთხელსაყრელი პირობებით, რომლებიც აკმაყოფილებენ ხალხთა მოთხოვნილებებს, გამორიცხავენ ყოველგვარ ეკონომიურ დისკრიმინაციას, უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და დიდ და მცირე სახელმწიფოთა ეკონომიურ განვითარებას.

9. მიგვაჩნია რა, რომ ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის დარღვევა იწვევს გათიშვას, სპობს ურთიერთგაგებას, ქმნის ურთიერთუნდობლობის ვითარებას და ხელს უწყობს ომის პროპაგანდას და რომ, მეორე მხრივ, ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცება ქმნის ურთიერთგაგებისა და ნდობის პირობებს მშვიდობისათვის საერთო ბრძოლაში, მოვუწოდებთ ყველა მთავრობას ხელი შეუწყონ ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის გაუმჯობესებას, ხალხების კულტურულ მონაპოვართა ურთიერთშესწავლას. ჩვენ წინადადება შემოგვაქვს—ხელი შევუწყოთ კულტურის მოღვაწეთა საერთაშორისო კონფერენციების მოწყობას, ამ მოღვაწეთა სხვა ქვეყნებში მოგზაურობას, სხვა ხალხთა ლიტერატურის ფართო გამოცემას და ამ ხალხთა ხელოვნების გაცნობას.

10. მოვუწოდებთ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაამართლოს იმედი, რომელსაც ხალხები მასზე ამყარებდნენ, ვაცნობებთ მას, რომ ჩვენ დავაარსეთ მშვიდობის მსოფლიო საბჭო, რომელიც წარმომადგენლობითი ორგანო იქნება. საბჭოს შემადგენლობაში შევლენ მსოფლიოს ყველა ხალხთა წარმომადგენლები, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნებისა, ისე იმ ქვეყნებისაც, რომლებსაც იქ წარმომადგენლები არა ჰყავთ, მათ შორის იმ ქვეყნების ხალხებისაც, რომლებიც ჯერ კიდევ დამოკიდებული და კოლონიური არიან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საქმით შეასრულოს ვალდებულებანი, რომლებიც მან იკისრა ყველა ქვეყანას შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის. მშვიდობის მსოფლიო საბჭო იკისრებს დიად ამოცანას — უზრუნველყოს მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა, რაც ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება. მშვიდობის მსოფლიო საბჭო კაცობრიობას შთაუნერგავს რწმენას, რომ მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, რომელთა უგულებელყოფაც არ შეიძლება, იგი შეასრულებს ნაკისრ მისიას.

მანიფესტი მსოფლიოს ხალხებისადმი

ომი ემუქრება კაცობრიობას — ბავშვებს, ქალებს, მამაკაცებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხალხებს ვერ უმართლებს მშვიდობისა და სიმშვიდის შენარჩუნების იმედს. ადამიანთა სიცოცხლე და კაცობრიობის კულტურის მიღწევები საფრთხეშია!

ხალხებს სურთ იმედი იქონიონ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადაჭრით დაუბრუნდება იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა იგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შეიქმნა იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოს თავისუფლება, მშვიდობა და ურთიერთპატივისცემა ხალხთა შორის.

მაგრამ მსოფლიოს ხალხები კიდევ მეტ იმედს ამყარებენ თავიანთ თავზე, თავიანთ სიმტკიცესა და კეთილ ნებაზე. ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადია, რომ ის, ვინც ამტკიცებს, რომ „ომი აუცილებელია", ცილსა სწამებს კაცობრიობას.

როდესაც წაიკითხავთ ამ მიმართვას, რომელიც მიღებულია ვარშავაში მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე 80 ქვეყნის ხალხთა სახელით, დაიხსომეთ, რომ ბრძოლა მშვიდობისათვის თქვენი საკუთარი სასიცოცხლო საქმეა. იცოდეთ, რომ მშვიდობის ასობით მილიონი მომხრე გაერთიანდა და ხელს გიწვდით თქვენ. ისინი მოგიწოდებენ მონაწილეობა მიიღოთ ყველაზე კეთილშობილურ ბრძოლაში, რომელიც ოდესმე უწარმოებია თავისი მომავლისადმი მტკიცე რწმენით გამსჭვალულ კაცობრიობას.

მშვიდობას კი არ უნდა ველოდოთ, არამედ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ იგი. გავაერთიანოთ ჩვენი ძალღონე და მოვითხოვოთ ომის შეწყვეტა, რომელიც დღეს კორეას ანადგურებს, ხვალ კი ხანძარს უქადის მთელ მსოფლიოს.

გამოვიდეთ წინააღმდეგ ცდებისა — კვლავ გააღონ ომის კერები გერმანიასა და იაპონიაში.

სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმომწერ 500 მილიონ ადამიანთან ერთად მოვითხოვოთ: ატომური იარაღის აკრძალვა, საყოველთაო განიარაღება, კონტროლი ამ ღონისძიებებზე. სასტიკი კონტროლი საყოველთაო განიარაღებასა და ატომური იარაღის მოსპობაზე ტექნიკურად შესაძლებელია. საჭიროა მხოლოდ ამის მონდომება.

მივაღებინოთ კანონები, რომლებიც გაითვალისწინებენ დასჯას ომის პროპაგანდისათვის. წარვუდგინოთ ჩვენი პარლამენტების დეპუტატებს, ჩვენს მთავრობებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჩვენი წინადადებანი მშვიდობის დასაცავად, რომლებიც შემუშავებულია მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მიერ.

მშვიდობის ძალები ყველა ქვეყანაში საკმაოდ დიდია, მშვიდობის მომხრე ადამიანთა ხმა საკმაოდ მტკიცედ გაისმის იმისათვის, რომ საერთო ძალღონით შევძლოთ მივაღწიოთ ხუთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრას.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესმა უმაღლესი ძალით დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ხუთი ნაწილიდან შეკრებილ ადამიანებს, მიუხედავად მათი შეხედულებების სხვადასხვაობისა, შეუძლიათ შეთანხმდნენ ურთიერთ შორის, რათა თავიდან აიცილონ ომის საშინელებანი და შეინარჩუნონ მშვიდობა.

დაე მთავრობებმა ახლავე იმოქმედონ, და მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს.

მშვიდობის საერთაშორისო პრემიების მიმკუთვნებელი ჟიურის ცნობა

ვარშავა, 22 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის საერთაშორისო პრემიების მიმკუთვნებელ ჟიურის სხდომები ჰქონდა პრაღაში 1950 წლის 19-დან 23 აგვისტომდე. უკანასკნელი სხდომა მოეწყო ვარშავაში.

ჟიურიმ განიხილა მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტების მიერ შერჩეული 110 ნაშრომი და ცალკეული პირების მიერ წარდგენილი 6 ნაშრომი.

ჟიურიმ ერთხმად მოიწონა შემდეგი წინადადებანი და გადასცა ისინი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივ კომიტეტს:

1) გამონაკლისის სახით საპატიო პრემია მიეკუთვნოს წამებით მოკლულ ჩეხოსლოვაკ მწერალ იულიუს ფუჩიკს წიგნისათვის, რომელიც მან დაწერა სიკვდილით დასჯის წინ: „რეპორტაჟი სახრჩობელაზე".

2) მიეკუთვნოს მშვიდობის საერთაშორისო პრემია ლიტერატურის დარგში პაბლო ნერუდას პოემისათვის „გაიღვიძოს ტყისმჭრელმა!" და პოეტ ნაზიმ ჰიქმეტს.

3) მიეკუთვნოს მშვიდობის საერთაშორისო პრემია ხელოვნების დარგში პაბლო პიკასოს, რომელმაც პირველმა გამოსახა „მშვიდობის მტრედი", და პოლ რობსონს „მშვიდობის სიმღერებისათვის".

4) მიეკუთვნოს მშვიდობის საერთაშორისო პრემია კინოს დარგში ვანდა იაკუბოვსკაიას ფილმისათვის „უკანასკნელი ეტაპი" და ოვანესოვას, კიშის, ბობროვს, ბესარაბოვს, კასპის, სოლოგუბოვს, ილეშს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ფილმისათვის „მსოფლიოს ახალგაზრდობა".

ჟიურის წესდების მე-7 მუხლის დებულებათა შესაბამისად მშვიდობის ოქროს მედალი მიეკუთვნოს:

ლიტერატურის დარგში: ლიბანის ჟურნალს „ათ-თარიქს", ჟან რიშარ ბლოკს წიგნისათვის „ოკუპირებული საფრანგეთიდან შეიარაღებული საფრანგეთისაკენ", მიხეილ სადოვიანუს წიგნისათვის „მიტრეა კოკორი".

ხელოვნების დარგში: მხატვარ რენატო გუტუზოს ალბომისათვის „ღმერთი ჩვენთანაა" და მხატვარ კანდიდო პორტინარის ფრესკებისათვის „ტირადენტესი", ჩეხ მუსიკოს ვაცლავ დობიაშს კანტატისათვის „სამშობლოს აშენებ, მშვიდობას განამტკიცებ".

კინოს დარგში — ლუი დაკენს ფილმისათვის „ბრძოლა სიცოცხლისათვის".

ჟიური კომიტეტის წარდგენით ოქროს მედალს აკუთვნებს გამოფენას „ვარშავის აღდგენა".

გრანდიოზული მიტინგი ვარშავაში

ვარშავა, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ვარშავაში გამარჯვების მოედანზე მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის წევრთა და მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის დელეგატთა თანდასწრებით გაიმართა მშვიდობის დაცვის გრანდიოზული მიტინგი. მიტინგი გადაიქცა მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის მთელი პოლონელი ხალხის მძლავრ მანიფესტაციად. ვარშავის 100 ათასზე მეტმა მცხოვრებმა ამ მიტინგზე ცხადყო, რომ ისინი მზად არიან შეუპოვრად იბრძოლონ მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის
თავმჯდომარეს ეჟენი კოტონს
გენერალურ მდივანს მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიეს

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტი საბჭოთა კავშირის ქალების სახელით მხურვალედ მიესალმება ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას მისი ხუთი წლისთავის დღეს.

თავისი არსებობის წლების განმავლობაში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია გახდა ქალთა მასობრივი ორგანიზაცია, რომელმაც მშვიდობისა და დემოკრატიის დასაცავად თავისი თანმიმდევრული გამოსვლებით მთელი მსოფლიოს პროგრესულ ქალთა დიდი ავტორიტეტი და ნდობა მოიპოვა.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია რაზმავს ყველა მშვიდობისმოყვარე ქალს, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა და პოლიტიკური რწმენისა, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის ბრძოლის, ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის ერთიან ფრონტში.

მშვიდობისათვის ბრძოლა ფედერაციას არასოდეს არ გამოუყვია ქალთა ეკონომიური და სოციალური უფლებების დაცვისაგან.

ფედერაციის მთელი ხუთი წლის მოღვაწეობა დაკავშირებულია ქალთა პოლიტიკური და ეკონომიური უთანასწორობის სრული ლიკვიდაციისათვის, ბავშვთა აღზრდისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისათვის აქტიურ ბრძოლასთან.

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტი, მიესალმება რა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას მისი სახელოვანი იუბილეს დღეს, ახალ-ახალ წარმატებას უსურვებს მას მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ქალთა უფლებებისა და ბავშვთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ქალები კვლავაც სავსებით დაუჭერენ მხარს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას მშვიდობისა და დემოკრატიის საქმისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში.

გაიზარდოს და განმტკიცდეს ფედერაციის რიგები, განმტკიცდეს ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ქალთა მეგობრობა!

გაუმარჯოს ქალთა მსოფლიო დემოკრატიულ ფედერაციას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

საბჭოთა ქალების
ანტიფაშისტური კომიტეტი

მშვიდობის დაცვის გამოფენები

ვარშავა. (საკდესი). მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის დელეგატებმა და სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს „პოლონური სიტყვის სახლის" ფოიეში მოწყობილი გამოფენები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გამოფენა, რომელიც გვიჩვენებს სსრ კავშირის ხალხთა ბრძოლას მშვიდობისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. მრავალ სტენდზე გამოფენილია ფოტოსურათები და დიაგრამები, რომლებიც გვიხატავენ საბჭოთა ადამიანების მონაწილეობას მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობაში. აქვეა ფოტოსურათები, რომელნიც ასახავენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელებას და სხვ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მიერ მოწყობილი გამოფენა გვიხატავს ჩინელი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მის მონაწილეობას ახალი, დემოკრატიული ჩინეთის მშენებლობაში. ჩინეთიდან გამოფენაზე ჩამოტანილია ალბომები ჩინელ მოქალაქეთა მრავალი მილიონი ხელმოწერით, რომლებმაც მხარი დაუჭირეს სტოკჰოლმის მოწოდებას.

დიდ ყურადღებას იპყრობს ფოტოსურათები, რომლებიც გვიჩვენებენ ჩინეთის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებზე ამერიკელ აგრესორთა ავიაციის ამასწინანდელი ბარბაროსული თავდასხმებით გამოწვეულ ნგრევას. მნახველთა გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს ამერიკის ავიაციის მიერ დაბომბვის მსხვერპლთა ფოტოსურათები.

მრავალი სტენდი მიძღვნილია პოლონეთის რესპუბლიკის დედაქალაქის — ვარშავის აღდგენის სამუშაოებისადმი, აგრეთვე უკანასკნელ წლებში პოლონელი ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ზრდისადმი.

გამოფენის რამდენიმე დარბაზი უკავია პოლიტიკური კარიკატურების რეპროდუქციებს, რომლებიც ამხილებენ ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა აგრესიულ მოქმედებას.

გამოფენას ყოველდღე ნახულობს აგრეთვე ვარშავის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

რეზოლუცია რეპრესიების მსხვერპლთა საკითხზე

ბევრ ქვეყანაში მშვიდობის მომხრეები ამჟამად პოლიციურ დევნას განიცდიან.

ლათინურ ამერიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, იტალიაში, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში მშვიდობის ათასობით მომხრე საპყრობილეშია.

ბევრი მათგანი, რომლებიც არჩეული იყვნენ ამ კონგრესის დელეგატებად, კონგრესს ვერ ესწრება.

მშვიდობის დაცვის კრებები აკრძალულია. პოლიცია ტყვიას უშენს მშვიდობის მომხრეებს და სცემს მათ.

დევნას ვერც მეცნიერები გადაურჩნენ.

მშვიდობის მეორე მსოფლიო კონგრესი მიესალმება მშვიდობის მომხრეებს, რომლებიც პოლიციურ ტერორს განიცდიან, და მტკიცე პროტესტს აცხადებს მათი დევნის წინააღმდეგ.

კონგრესი მოითხოვს პოლიციური ტერორის ყველა მსხვერპლის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. კონგრესი მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ხალხებს სოლიდარობა გამოუცხადონ მშვიდობის კეთილშობილ მომხრეებს, მიაღწიონ მათს განთავისუფლებას, მხარი დაუჭირონ და დაიცვან ყველა, ვინც იბრძვის მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

სინხუას სააგენტო ამერიკელთა უწესოებაზე ცინდაოში მათი ყოფნის დროს

პეკინი, 20 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო ცინდაოდან იუწყება, ჩინელი ხალხი გულისწყრომით იგონებს ცინდაოში ამერიკელთა ჯარების დანაშაულობას ამ ქალაქის განთავისუფლებამდე. ამერიკელთა ჯარები იკავებდნენ ჩინელების სახლებს, სცემდნენ და კლავდნენ ჩინელებს და აუპატიურებდნენ ჩინელ ქალებს. ისინი ყოველმხრივ ისე მოქმედებდნენ, როგორც მათი წინამორბედები — იაპონელი იმპერიალისტები.

ამერიკელებმა დაიკავეს ცინდაო 1945 წლის 16 სექტემბერს და დატოვეს იგი 1949 წლის მაისის დამლევს, სწორედ ამ ქალაქის განთავისუფლების წინადღეს. ცინდაოში ყოფნის დროს ამერიკელთა ჯარებმა შანდუნის უნივერსიტეტის შენობები ყაზარმებად გადააქციეს.

გომინდანის საპოლიციო სამმართველოს არასრული ცნობების მიხედვით 1948 წლის 19 იანვრიდან 1949 წლის 19 მაისამდე ამერიკელმა ჯარისკაცებმა ცინდაოში მოკლეს 46 ჩინელი. გარდა ამისა, 282 კაცი დაჭრეს. ამერიკელთა მოტორიანი გემები ხშირად ძირავდნენ ჩინელ მეთევზეთა ნავებს.

გომინდანელი გამცემლები პროტესტს არ აცხადებდნენ ამერიკელ ჯარისკაცთა მხეცობის წინააღმდეგ ცინდაოში. მაგრამ, წერს სინხუას სააგენტო, ცინდაოს მცხოვრებლები არასოდეს არ დაივიწყებენ ამას. ისინი ენერგიულად ეხმარებიან კორეელ ხალხს მის ბრძოლაში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

ჩინელი სტუდენტები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობდნენ, სამშობლოში ბრუნდებიან

პეკინი, 20 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, მიუხედავად ამერიკელი იმპერიალისტების მიერ გაწეული დაბრკოლებებისა, ამ ახლო ხანში შეერთებული შტატებიდან შანხაიში ჩამოვიდა 16 კაცისაგან შემდგარი ჩინელ სტუდენტთა მეოთხე ჯგუფი. სამშობლოში დაბრუნებულმა სტუდენტებმა გადაწყვიტეს აშენონ, მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით, ახალი ჩინეთი და მთელ ჩინელ ხალხთან ერთად წინააღმდეგობა გაუწიონ ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიას.

შეერთებული შტატებიდან დაბრუნებულმა 103 ჩინელმა სტუდენტმა, რომლებიც ამჟამად ჩრდილოეთ ჩინეთის სახალხო-რევოლუციურ აკადემიაში სწავლობენ, მაო ძე-დუნს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოუთხრობენ, თუ რა დევნას განიცდიდნენ ამერიკის ხელისუფალთაგან შეერთებულ შტატებში ყოფნისას. ჩინელ მეცნიერთა ასოციაცია შეერთებულ შტატებში ამ დევნის გამო, ნათქვამია წერილში, იძულებული გახდა დაეშალა თავისი ორგანიზაცია, ხოლო ჩინელ სტუდენტთა ბეჭდითი ორგანო ამერიკის შეერთებულ შტატებში იძულებული გახდა შეეწყვიტა გამოსვლა. ჩინელი სტუდენტები, რომლებიც შეერთებულ შტატებში სწავლობდნენ, განუწყვეტლივ მიჰყავდათ დაკითხვაზე ამერიკის სპეციალური სამსახურის აგენტებს, მათ განუწყვეტლივ ადევნებდნენ თვალყურს. ამერიკის მთავრობა ყოველნაირად უშლის ხელს ჩინელ სტუდენტთა დაბრუნებას სამშობლოში.

ჩინელი ხალხი მაკარტურს სამხედრო დამნაშავედ აცხადებს

პეკინი, 21 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის დელეგაციის იმ წინადადებამ მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე, რომ მაკარტური გამოცხადებულ იქნას საერთაშორისო სამხედრო დამნაშავედ, დაუყოვნებლივ ჰპოვა გამოხმაურება ჩინეთის პრესის ფურცლებზე, რომელმაც გამოაქვეყნა უოლ-სტრიტის ამ აგენტის დანაშაულებრივი საქმიანობის გამაშუქებელი მთელი რიგი სტატიები.

მოჰყავს რა მთელი რიგი ფაქტები მაკარტურის დანაშაულებრივი საქმიანობიდან, სინხუას სააგენტო აცხადებს, რომ ეს გაავთრებული, შიშით გაგიჟებული მილიტარისტი წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში, და ჩინელი ხალხი მას აცხადებს სამხედრო დამნაშავედ, რომელსაც შესაფერისადაც უნდა მოვეპყროთ.

საომარი მზადება დასავლეთ ბერლინში

ბერლინი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ომის ამერიკელი და ინგლისელი გამჩაღებლების დანაშაულებრივ ავანტიურისტულ გეგმებში დიდმნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება ბერლინის დასავლეთ სექტორებს, რომლებსაც ევროპაში ამერიკელთა ეგრეთწოდებულ „ფორპოსტად" აქცევენ. ამ მიზნით დასავლეთ ბერლინის საოკუპაციო ხელისუფლები პრესაში და რადიოთი აჩაღებენ ომის პროპაგანდას, აძლიერებენ მშვიდობის მომხრეთა დევნას, ზრდიან საოკუპაციო გარნიზონებს, ჯარის შენაერთებად აქცევენ შტუმის პოლიციას და აგროვებენ გერმანელ დაქირავებულ ჯარისკაცებს.

ბერლინის დემოკრატიული პრესის ცნობების თანახმად, უკვე თვეზე მეტი ხნის წინათ საოკუპაციო ხელისუფლები ამერიკულ სექტორში შეუდგნენ ახალი „მუშათა ბატალიონების" შექმნას, რომლებშიც პირველ რიგში იღებენ გერმანიის არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს. დღემდე მიიღეს და მაშინვე ყაზარმულ მდგომარეობაზე გადაიყვანეს 700-მდე კაცი.

ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფლებს ბერლინში განზრახული აქვთ აგრეთვე გააძლიერონ თავიანთი დაქირავებული ბატალიონები დასავლეთ გერმანიის საპყრობილეებში მყოფ სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიღების გზით.

დასავლეთის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს შეაიარაღონ დასავლეთ ბერლინის პოლიცია — რიცხვით 13.800 კაცი მსუბუქი ტყვიამფრქვევებით, ავტომატებით და კარაბინებით.

გაზეთი „ნიურნბერგერ ნახრიხტენი" აღნიშნავს, რომ „პოლიციის შეიარაღებით საბოლოოდ ირღვევა 4 სახელმწიფოს 1945 წლის შეთანხმება".

ამერიკის შეერთებული შტატები ეხმარებიან ფრანგ იმპერიალისტებს ვიეტნამში

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, საიგონში ამერიკის ბომბდამშენთა პირველ ჯგუფთან ერთად ჩავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავები, რათა მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებაში ვიეტნამის სახალხო არმიის წინააღმდეგ ფრანგ იმპერიალისტთა მხარეზე.

ფაშისტური ტერორი ერაყში

პრაღა, 22 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტო გადმოგვცემს, ამ უკანასკნელ ხანს სულ უფრო ხშირად მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ბაღდადსა და მოსულში მასობრივად აპატიმრებენ და სდევნიან პროგრესულად განწყობილ პირებსა და მშვიდობის მომხრეებს. ერაყის პრემიერ-მინისტრი ნური საიდი, რომელმაც ძალაუფლება 2 თვის წინათ დაიბრუნა ინგლისელების დახმარებით, მძვინვარე ტერორს ახორციელებს ერაყის მთელი პროგრესული ძალების წინააღმდეგ. ასობით ადამიანი გაიგზავნა სიკვდილის ბანაკებში, რომლებიც უდაბნოებშია, ხოლო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები ფაჰედი, ზაქი ბასიმა და ჰუსეინ შივივი გაუსამართლებლად სიკვდილით დასაჯეს ბაღდადში.

ცნობები იმის შესახებ, რომ ნური საიდის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ბარბაროსულად აწამებს ერაყის უშიშროების პოლიცია, ხალხის ფართო მასების აღშფოთებას იწვევს, ხოლო სოფლად პოლიციასა და გლატაკებულ გლეხებს შორის სულ უფრო გახშირებული შეტაკებანი მოწმობენ, რომ ძლიერდება ხალხის ოპოზიცია მძვინვარე ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 22 ნოემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ჯარები დღის განმავლობაში ბრძოლას აწარმოებდნენ ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა ჯარების წინააღმდეგ წინანდელ ზღუდეებზე.

ლისინმანელთა ხროვა მხოლოდ ამერიკის ხიშტების დახმარებით ინარჩუნებს ძალაუფლებას

შანხაი, 21 ნოემბერი. (საკდესი). კორეის იმ რაიონებიდან მიღებული ცნობები, რომლებიც ოკუპირებულია ინტერვენტების მიერ, მოწმობენ, რომ ლისინმანელთა ხროვა სავსებით იზოლირებულია. ეს იზოლირება გამოხატულებას პოულობს არა მარტო ფართო სახალხო მოძრაობით ამერიკელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ იმითაც, რომ ლი სინ მანის დიქტატორული მოქმედების წინააღმდეგ ოპოზიციას აძლიერებენ მისივე მომხრენი სამხრეთ კორეის ეგრეთწოდებულ „ეროვნულ კრებაში".

სეულის რადიო, კერძოდ, იუწყება, რომ გუშინ „ეროვნულმა კრებამ" მესამედ უარყო ლი სინ მანის მიერ პრემიერ-მინისტრის პოსტზე დასახელებული კანდიდატურა, თუმცა, როგორც ცნობილია, ლისინმანელთა რეჟიმს ამა წლის მარტიდან პრემიერ-მინისტრი აღარა ჰყავს. ჯერ კიდევ 3 ნოემბერს, როცა ლი სინ მანმა ამ პოსტზე პირველად დაასახელა თავისი კაცი პაკ ნაკ ჩენი, „ეროვნულმა კრებამ" 100 ხმის უმეტესობით 21 ხმის წინააღმდეგ უარი თქვა დაემტკიცებინა ეს კანდიდატურა. ამავე დროს ამ კრების ბევრმა წევრმა ლისინმანელთა ხროვას დააბრალა ვაშინგტონის კარნახით კორეაში მის მიერ გაჩაღებული შინაომი. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ლისინმანელთა ხროვა კორეაში არავითარი მხარდაჭერით არ სარგებლობს და მხოლოდ ამერიკას ხიშტების დახმარებით ინარჩუნებს ძალაუფლებას.

კორეაში მყოფი ფილიპინელი ჯარისკაცები სამშობლოში დაბრუნებას მოითხოვენ

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, ფილიპინელთა ბატალიონის მეთაურმა კორეაში მოითხოვა, რომ ფილიპინების მთავრობამ გაიწვიოს მისი ბატალიონი კორეიდან, ამასთან განაცხადა, რომ მის ჯარებს არა აქვთ საზამთრო ტანსაცმელი, რომ კორეის ზამთარი მისი ჯარებისათვის მეტისმეტად ცივია და რომ მის ჯარებს როგორც ცალკეულ საბრძოლო შენაერთს კი არ იყენებენ, არამედ ისინი ამერიკელთა პოლკის დანამატს წარმოადგენენ.

მაკარტურის შტაბი აფინანსებს ანტიკომუნისტურ ღონისძიებებს იაპონიაში

პრაღა, 22 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰონკონგიდან იუწყება, იაპონური გაზეთი „ხეივატო დოკურიცუ" ათავსებს ცნობას, რომ მაკარტურის შტაბის სადაზვერვო განყოფილებამ გამოჰყო 100 მილიონი იენი იაპონიის კომპარტიის ხელმძღვანელთა მოსაძებნად, რომელნიც იძულებული გახდნენ ფარული მუშაობა დაეწყოთ. ამ მიზნით უკვე მობილიზებულია ტოკიოს პოლიციის ერთი მესამედი ნაწილი.

საომარი მზადება ჰოლანდიაში

ჰააგა, 22 ნოემბერი. (საკდესი). პრესაში ქვეყნდება ახალი ცნობები საომარი მზადების შესახებ, რასაც ჰოლანდიის მთავრობა ახორციელებს ამერიკელთა კარნახით.

გაზეთი „ნიევე როტერდამშე კურანტი" წერს, რომ, ოფიციალური ცნობების თანახმად, ჰოლანდიის სამხედრო-საზღვაო ფლოტში იქნება ერთი ავიოსანი, 2 კრეისერი, 8 წყალქვეშა ნავი, 12 ნაღმოსანი, 6 ფრეგატი, 48 ნაღმის ტრალერი, რამდენიმე დამხმარე გემი და 100 თვითმფრინავი. გათვალისწინებულია აგრეთვე სავაჭრო გემების შეიარაღება.

ჰოლანდიის არმიაში ყოველწლიურად გაწვეულ იქნება 50 ათასი კაცი, რაც წინა წლების წვევამდელთა ყოველწლიურ კონტინგენტს 10 ათასით აღემატება.

კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა დამონების ამერიკული პროგრამა

ლონდონი, 21 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ობსერვერის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ადგენს „მსოფლიოს ჩამორჩენილი რაიონების განვითარების საკმაოდ გაფართოებულ გრძელვადიან პროგრამას". კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა დამონების ამ ახალ ამერიკულ პროგრამას ტრუმენი მოახსენებს 82-ე კონგრესის სესიას 1951 წლის დასაწყისში.

პროგრამა ითვალისწინებს სესხისა და სუბსიდიების მიცემას ყოველწლიურად დაახლოებით 2,5 მილიარდი დოლარის რაოდენობით.

გაზეთ „ობსერვერის" კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, რომ ამ პროგრამის ძირითადი მიზანია დაიჩქაროს ამერიკელთა მონოპოლიების მიერ ნედლეულის წყაროების დაპყრობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, გააძლიეროს ამ ქვეყნების ხალხთა ექსპლოატაცია და გამოიყენოს ეს პროგრამა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის იარაღად.

კორესპონდენტი დასძენს, რომ ტრუმენმა დანიშნა „საერთაშორისო ამბების შემსწავლელი კერძო მოქალაქეთა ახალი საბჭო". საბჭოს ამოცანაა შეიმუშაოს „რეკომენდაციები პოლიტიკური კურსის დარგში", მსგავსად იმისა, როგორიც არის უცხო სახელმწიფოთათვის ამერიკის შეერთებული შტატების „დახმარების" ოდენობის განმსაზღვრელი ეგრეთწოდებული კონსულტაციური კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ჰარიმანი და რომელმაც თავის დროზე შეიმუშავა მარშალის გეგმა.

კორესპონდენტი აცხადებს, რომ „უმნიშვნელოვანესი რაიონი ახალ პროგრამაში ინდოეთი იქნება".

მოწინავე სტატიაში გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისის როლი „ჯერ კიდევ მეორეხარისხოვანია და მრავალმხრივ წარმოადგენს ამერიკის როლის დანამატს". გაზეთი აღნიშნავს, რომ კოლომბოში (ცეილონი) ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე 1950 წლის დასაწყისში მიღებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისადმი ეგრეთწოდებული დახმარების გეგმა და ამერიკელთა ახალი პროგრამა „მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან".

„არჩევნების" ინსცენირების ჩაშლა დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 20 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ დასავლეთ გერმანიის ორ მხარეში (ამერიკის ზონა) — ჰესენსა და ვიურტემბერგ-ბადენში შედგა ამ მხარეთა ლანდტაგების „არჩევნები". არჩევნები მიმდინარეობდა დასავლეთ გერმანიაში ამერიკის ხელისუფალთა და დასავლეთ გერმანიის რეაქციის მიერ დამყარებული სასტიკი ტერორის პირობებში, ხოლო თვით საარჩევნო სისტემა შეუძლებელს ხდიდა ამომრჩეველთ გამოეხატათ თავიანთი ნამდვილი ნება. მიუხედავად ამისა, „არჩევნების" შედეგები საკმაოდ დამახასიათებელი აღმოჩნდა.

როგორც ადნის სააგენტო იუწყება, მრავალმა ამომრჩეველმა ბოიკოტი გამოუცხადა „არჩევნებს". ორ მილიონზე მეტ ამომრჩეველს არ მიუღია მონაწილეობა კენჭისყრაში. გარდა ამისა, 126 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა განზრახ გააყალბა თავისი ბიულეტენი. ბევრ ბიულეტენს ამომრჩევლებმა წააწერეს ლოზუნგები: „ჩვენ არ გვსურს ომი", „მოგვეცით პური დივიზიების ნაცვლად" და სხვ.

ქალაქებში მაინის ფრანკფურტსა და მანჰაიმში მოწყობილ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა მხოლოდ 44 პროცენტმა, კარლსრუეში — 42,6 პროცენტმა. მაინფელსისა და ნოიჰიუტენის თემებში (ვიურტემბერგ-ბადენის მხარე) ხმა მისცა შესაბამისად ამომრჩეველთა 15,5 და 12,4 პროცენტმა.

ჰესენის მხარის ამერიკელთა ადმინისტრაციის პოლიტიკურმა მრჩეველმა ანშპახმა გულისწყრომა გამოთქვა იმის გამო, რომ, მაგალითად, 1915-1928 წლებში დაბადებულ პირთაგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა მხოლოდ 10 პროცენტმა

არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა უმრავლესობამ არაპირდაპირი გზით გაილაშქრა რემილიტარიზაციის წინააღმდეგ. მაგალითად, შუმახერულმა „სოციალისტურმა" პარტიამ, რომელიც „არჩევნების" წინ დემაგოგიური მოსაზრებით გამოვიდა რემილიტარიზაციის უსიტყვოდ განხორციელების წინააღმდეგ, ორივე მხარეში მიიღო გაცილებით მეტი ხმა, ვიდრე მისმა თანამოძმეებმა ადენაუერის „მთავრობის" პარტიიდან (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი), რომელიც აშკარად იცავს დასავლეთ გერმანიას რემილიტარიზაციას.

გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების მოწოდება

ბერლინი, 21 ნოემბერი. (საკდესი). ადნის სააგენტოს ცნობით, გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების დიდი ბერლინის გამგეობამ გერმანიის დედაქალაქის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „უახლოეს ხანში ამერიკელთა დასავლეთ ბერლინის პლაცდარმს გააძლიერებენ 33-ტონიანი ტანკებით. 1951 წლის იანვარში იქ მიიტანენ 45-ტონიან ტანკებს, გრანატსატყორცნებსა და თვითმფრინავებს. დასავლეთ ბერლინის პოლიცია შეიარაღებულ იქნება ტყვიამფრქვევებითა და ხელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით. დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო ჯარებისათვის ათასობით ბინა უნდა განთავისუფლდეს".

მოწოდებაში შემდეგ ნათქვამია: „მას შემდეგ, რაც ორ მსოფლიო ომში გერმანელმა ხალხმა 10 მილიონზე მეტი კაცი დაკარგა, ომის ინგლისელ და ამერიკელ გამჩაღებლებსა და მათ გერმანელ ხელქვეითებს კვლავ სურთ თავს დაგვატეხონ მესამე მსოფლიო ომი".

მოწოდება მოუწოდებს მშვიდობისათვის მებრძოლ ბერლინელებს პროტესტი განაცხადონ დასავლეთ ბერლინში აშკარა საომარი მზადების წინააღმდეგ. ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში განხილულ უნდა იქნას საგარეო საქმეთა მინისტრების პრაღის თათბირის გადაწყვეტილებანი, მიღებულ უნდა იქნას კონკრეტული ღონისძიებანი მშვიდობისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად.

დასავლეთ ბერლინში 3 დეკემბრისათვის დანიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების დიდი ბერლინის ორგანიზაცია მოუწოდებს დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთ არ მისცენ ხმა არც ერთ პარტიას იმ რვა პარტიიდან, რომლებიც მხარს უჭერენ დასავლეთ ბერლინისა და დასავლეთ გერმანიის ხელახალ შეიარაღებას.

„იბრძოლეთ ჩვენთან ერთად, — ნათქვამია მოწოდებაში, — მშვიდობის და ნამდვილი თავისუფალი არჩევნებისათვის ერთიან დიდ ბერლინში".

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მეექვსე გამოცემა ბულგარულ ენაზე

სოფია, 21 ნოემბერი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ მეექვსე გამოცემად გამოუშვა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" 50 ათას ცალად.

ახალ გამოცემასთან ერთად ბულგარულ ენაზე გამოცემული „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" საერთო ტირაჟი 215 ათას ცალს შეადგენს.

ჭადრაკი

სსრ კავშირის XVIII პირველობა

21 ნოემბერს ტურნირის [illegible] გათამაშდა დაუმთავრებელი პარტიები, აგრეთვე კონსტანტინოპოლსკი-ბონდარევსკისა და სუეტინ-ლიპნიცკის გადატოვებული პარტიები.

მიკენასი ბრძოლის განუგრძობლად დანებდა სმისლოვს, ხოლო ფლორი და ლიუბლინსკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა პეტროსიან-არონინის პარტია. პეტროსიანმა უკეთეს პოზიციაში ვერ შენიშნა შავების უბრალო მანევრი და 62 სვლის შემდეგ იძულებული გახდა დანებებულიყო.

კონსტანტინოპოლსკი-ბონდარევსკის პარტია დაძაბული ბრძოლის შემდეგ გადაიდო ორივე მხარისათვის მწვავე პოზიციით.

სუეტინ-ლიპნიცკის პარტია გადაიდო. უპირატესობა აქვს სუეტინს.

ექვსი ტურის შემდეგ წინ არიან: არონინი — 5,5 ქულა, სმისლოვი — 4,5 ქულა, ტოლუში — 4, ალატორცევი — 3,5 ქულა. (საკდესი).

* * *

მე-19 საკავშირო პირველობის მეოთხედფინალი

მეორე ტურში, რომელიც 22 ნოემბერს გათამაშდა, სპორტის ოსტატმა ბ. რატნერმა (კიევი) მოიგერია ი. სახაროვის (კიევი) ძლიერი იერიში და მოიგო პარტია. ა. მაკაროვმა (ხარკოვი) მოუგო ს. მოლჩადსკის (მოსკოვი). ესპანურ პარტიაში ა. კოფმანმა (კიევი) მეფის ფრთაზე იერიშით აიძულა მ. შიშოვი (თბილისი) დანებებულიყო. ა. ბუსლაევმა (თბილისი) ცაიტნოტში ლ. კალაშიანს (ერევანი) მოუგო ფიგურა და მოიგო პარტიაც. მოსკოველმა ლ. შჩერბაკოვმა წააგო ვ. ქარსელაძესთან.

სამი პარტია გადაიდო.

დღეს, 24 ნოემბერს, შედგება გადადებული პარტიების გათამაშება.

შეჯიბრება ტანვარჯიშში

სამ დღეს გაგრძელდა საქართველოს პირადი და ქ. თბილისის პირადგუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 196 სპორტსმენმა. შეჯიბრება მიმდინარეობდა ორ ჯგუფად. დაძაბული ბრძოლის შედეგად პირველ ჯგუფში გაიმარჯვა „ბოლშევიკის" გუნდმა. მეორეში — „ლოკომოტივის" კოლექტივმა.

საინტერესოდ ჩატარდა ბრძოლა ქ. თბილისის აბსოლუტური ჩემპიონის წოდების მოპოვებისათვის. ეს საპატიო წოდება მამაკაცთა შორის მოიპოვა სპორტის ოსტატმა ვ. კულუმბეგაშვილმა, ქალთა შორის — სპორტის ოსტატმა ე. გაგოშიძემ.

ცალკეულ იარაღებზე საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: ძელზე და რგოლებზე — სპორტის ოსტატმა ა. ალფაიძემ, თავისუფალ ვარჯიშსა და ბრჯენით ხტომებში — სპორტის ოსტატმა ვ. კულუმბეგაშვილმა, ტაიჭზე — სპორტის ოსტატმა კ. ივანოვმა, ორძელზე — სპორტის ოსტატმა ვ. ჯაიანმა.

ქალთა შორის ცალკეულ იარაღებზე რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ სპორტის ოსტატი ე. გაგოშიძე (ღერძი, რგოლები, წონასწორობა, ბრჯენით ხტომები) და სპორტის ოსტატი თ. კობოსნიძე (თავისუფალი ვარჯიში და ბრჯენით ხტომები).

პირველთანრიგოსან ტანმოვარჯიშეთა შორის პირველობა მოიპოვეს ო. ქორქიამ ვაჟთა შორის და ლ. გელუკაშვილმა ქალთა შორის.

მხატვრულ ტანვარჯიშში გამარჯვება წილად ხვდა მ. ანდრონიკაშვილს („ბოლშევიკი").

აკრობატიკაში საქართველოს ჩემპიონის წოდება ოთხეულში მიენიჭათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონებს სპორტის ოსტატებს მ. ქელეხსაშვილს, ი. მახაშვილს, გ. გარსევანიშვილს და ი. ჩესნოვს. შერეულ წყვილში გაიმარჯვეს ზ. იაკუბამ, და ი. მახაშვილმა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

25 ნოემბერს

6.45 — ვალსები. 8.30 — კომპოზიტორ ტანეევის ნაწარმოებები. 17.15 — კამერული მუსიკის კონცერტი. 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის: „სამეცნიერო კონფერენციის სხდომაზე". 18.20 — ქართული მუსიკის კონცერტი. 19.15 — სიმფონიური მუსიკა. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. ქალაქის ქსელით — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ეთერ წვერავას შესრულებით. 20.45 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის საგუნდო კაპელის შესრულებით. 21.10 — ლექცია: „ახალი თვალსაჩინო განძი ლენინიზმის საგანძურში", ამხანაგ სტალინის შრომების შესახებ ენათმეცნიერების საკითხებზე. 21.40 — ლიტერატურული გადაცემა: რუსი პოეტების ლექსები საქართველოზე. 23.00 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებსა და კინოებში

ოპერისა და ბალეტის — „გორდა" (მე-5 აბ. ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის** — „ღალატი"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „სანაპიროზე"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ძაბველის ქალა" (მე-12 აბ.); **სომხური დრამის** — „ქორ-ოღლი"; **მუსიკალური კომედიის** — „შეხვედრა აგარაკზე" (ფილარმონიის საზამთრო თეატრის შენობაში); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „შინ დაბრუნება მინდა" (მე-17 აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ესპანელები" (3 და 7 საათზე); **სანკულტურის** — „ორი ბედნიერება"; **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

* * *

რუსთაველის სახელობის, „ამირანი", „ოქტომბერი", „სპარტაკი", „ისანი"; 26 კომისრის სახელობის — „გაზაფხული საკენში"; **„თბილისი** — „ბალერინას ბედი"; **„კომკავშირელი"**— „განწირულთა შეთქმულება"; **„კოლმეურნე"** — „ვაჟიშვილები"; **„დიდუბე"** — „მამაცობა".

დაიწყო ხელმოწერა 1951 წლისათვის გაზეთზე
„კულტურა ი ჟიზნ"

კულტურა ი ჟიზნ" საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გაზეთია.

გაზეთი აშუქებს: პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური და საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მხატვრული ლიტერატურის, კრიტიკის, ხელოვნების, რადიოს, კინოს, თეატრის საკითხებს; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო სკოლის მუშაობას; ბეჭდავს სტატიებს აგიტაცია-პროპაგანდის საუკეთესო მუშაკთა გამოცდილების შესახებ, სტატიებს პროპაგანდისტთა დასახმარებლად, ცენტრალური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვას, პოლიტიკის, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე ახალი საბჭოთა და უცხოური წიგნების რეცენზიებს.

გაზეთი **„კულტურა ი ჟიზნ" გამოდის თვეში 3-ჯერ.**

ხელმოწერის ფასი: 12 თვით — 18 მან., 6 თვით — 9 მან., 3 თვით — 4 მან. 50 კაპ.

ხელმოწერა მიიღება ყველგან ფოსტაში, „სოიუზპეჩატის" განყოფილებაში და საზოგადოებრივი გამავრცელებლების მიერ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ახალ ქართულ ლიტერატურაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს სათანადოდ შემოწმებული შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი, ცნობა სამეცნიერო ხარისხის და სამეცნიერო წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია და თვით ნაშრომები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების რეცენზია.

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადებები მიიღება დირექტორის სახელზე (ძერჟინსკის ქ. № 8).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს **კონკურსს** შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. ფსიქოლოგიის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი —1
2. ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა — კათედრის დოცენტი — 1
3. აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა — კათედრის დოცენტი — 1
4. რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი — 1.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებას თან უნდა ახლდეს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდებაში დამტკიცების საბუთების შემოწმებული ასლები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და მთავარი სამეცნიერო შრომები.

კონკურსის ვადაა 10 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

უნივერსიტეტის მისამართი: თბილისი, მარის ქ. № 1.

მოქალაქე **ვლადიმერ პავლეს-ძე მაქსიმოვმა,** მცხოვრებმა კრილოვის ქ. № 10, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნადეჟდა გიორგის ასულ კულინასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-5 უბნის სახალხო სასამართლო.

გ. ალავიძე, ა. თოფურია, ო. მელაშვილი, ა. ცომაია, მ. ღვინჯილია, ვ. ჩიქავა, დ. რამიშვილი, ა. კეკელიძე და პ. კორძაია თანაგრძნობას უცხადებენ ანდრო ალექსის-ძე გაბუნიას მისი დედის **ანასტასია გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

შვილები ივანე, გიორგი, და სალომე, რძლები სოფიო, ქეთო, ელო, შვილიშვილები თეიმურაზ, გივი, სიძე პ. საყვარელიძე იუწყებიან **მარიამ ნოშრევანის ასულ გვერდწითელის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-XI, 3 ს. გორში.

ფიზიოთერაპიული საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან მთავარი ექიმის პროფესორ **მიხეილ ოთარის-ძე ზანდუკელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. პეტრიაშვილის, 11.

ნ. ვეჩხაიზერი, ნ. ლეკიშვილი, ვ ბოტკოველი, ა. ავაჯანოვა, ლ. ჩაჩავა, ა. ვახტანგიშვილი, თ. კობახიძე, ნ. გიორგობიანი, გ. სტეფანიანი, ნ. ელიაშვილი, მ. გელაშვილი, მ. დოლიძე, თ. შარაშენიძე თანაგრძნობას უცხადებენ თამარ და გიორგი დავიდოვებს მათი დედის **ნინო ანტონის ასულ დავიდოვას** გარდაცვალების გამო.

სილოვან, ვერა, გუგული, მურმან, ლენა და ზაზა ლებანიძეები იუწყებიან **სეფე ფირანის-ძე ლებანიძის** გარდაცვალებას.

დედა კატო, დები ნადია და სანდალა საბაშვილები იუწყებიან, რომ 26-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **კლავდია ლავრენტის ასულ საბაშვილი-ქავჟარაძის** პანაშვიდი.

ვ. ჯავახიშვილი, დ. სამადაშვილი, მ. მეტრეველი, ვ. ბარსეგოვი, კ. ოგანიანი, ხ. არაქელოვი, ე. მაქაცარია, ა. საყვარელიძე, ვ. შავიძე, თ. კაკაბაძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. დავიდოვს მისი დედის **ნინო მაკალათია-დავიდოვას** გარდაცვალების გამო.

გაბრიელ, ქეთევან, ელისაბედ, იასონ, ოთარ ზანდუკელები, ა. კონსტანტინოვი იუწყებიან **მიხეილ ოთარის-ძე ზანდუკელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 26-XI, 2 ს. პეტრიაშვილის, 11.

მეუღლე პელაგია, შვილები მარო, თამარ, ნიკოლოზ, ლეონიდე, ძმისწული შალვა, რძალი თამარ და სიძე მიხეილ ჩხაიძე იუწყებიან **სეფე ფირანის-ძე ლებანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-XI, 7 ს. გამოსვენება 26-XI, 3 ს. კალინინის, 95.

ჭიპაშვილი, დონდუა, პაპიაშვილი, კეჩხოშვილი, აბუშევი, სახოკია, ქუთათელაძე, რამიშვილი, დუიშვილი, ხუროშვილი, ბესეიშვილი იუწყებიან ბ. გვერდწითელის დედის **მარიამ ნოშრევანის ასულ გვერდწითელის** გარდაცვალებას.

ი. ლოლიძე, გ. ქობულია, ლ. კიკნაძე, ა. კანდელაკი, ი. აღლაძე, გ. მიქელაძე, ვ. ჭიჭინავა, ო. კვანტალიანი, ს. ოდიშარია, გ. ახვლედიანი, ვ. კახიძე, ნ. ჩაჩანიძე, მ. ჩაიგეშტოვი თანაგრძნობას უცხადებენ ა. გაბუნიას მისი დედის **ანასტასია ბესარიონის ასულ გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

მშობლები თომა, ეფროსინე, ძმები ტიტე, მიშა, დები თამარ, შუშანიკა, რძლები შურა, ქუქუნა, სიძეები გრიშა, დავით იუწყებიან **ანიკო კობრავა-თევზაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა გომში (სამტრედიის რ.).

მეუღლე ნინო, შვილები რუსუდან, ქეთო, თინა, სიძე გ. დოდაშვილი, შვილიშვილები ვახტანგ, რამაზ იუწყებიან, რომ 26-XI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **პანტელეიმონ ალექსანდრეს-ძე გიორგობიანის** პანაშვიდი.

ლუბა, მიშა ჯაფარიძეები, ნინო, ალექსანდრე გრძელიძეები, ნინო, ალექსანდრე ცაგურიები, ლუბა წერეთელი იუწყებიან, რომ 26-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია რძლის **ტასო ისიდორეს ასულ სარჯველაძე-ჯაფარიძის** პანაშვიდი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოსა და სახელმწიფო ცენტრალური არქივების თანამშრომელთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ს. მალლაკელიძეს **შალვა მალლაკელიძის** გარდაცვალების გამო.

ქეთო, თამარ, ნინო, გრიშა, ვალოდია, თედო კუნჭულიები და სონია ჩხაიძე შვილებით იუწყებიან დისწულის **კოტე ჯარისპანის-ძე ხალუქვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-XI ქ. მახარაძეში.

„სამგორწყალმშენის" სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. ოჩიგავას მისი დედის **მარგალიტა იულოს ასულ ოჩიგავას** გარდაცვალების გამო.

დედა მარო, მეუღლე მარგო, და ვარვარა, შვილი თინა კაპარავები, სიძე გ შალამბერიძე იუწყებიან **ევგენი დიმიტრის-ძე კაპარავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-XI ბათუმში, მოლოტოვის მესამე შესახვ., 15.

ა. მაღნარაძე, ზ. ხითაროვი, ვ. ბუბუტეიშვილი, ვ. სიხარულიძე, თ. ნაკაიძე, თ. პეტროსიანი, მ. გოგიტიძე, მ. ტერელაძე, ნ მელქოვა თანაგრძნობას უცხადებენ პ. ეზიაშვილს მისი დედის **თებრონე ივანეს ასულ ეზიაშვილის** გარდაცვალების გამო.

დედა თებრონია, ძმები გრიშა, კალისტრატე, ვახტანგ, რძლები ნინო, ელენე, ლეილა, ძმისშვილები იუწყებიან **რაჟდენ ელიზბარის-ძე დალაქიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-XI, 7 ს. გამოსვენება 25-XI, 3 ს. კიკვიძის, 8.

ი. ქიმერიძე, რ. მოსაშვილი, მ. ჩიტიშვილი, მ. ახპატელოვი, კ. ფოცხვერაშვილი, ა. ვახტანგაძე, პ. ჩანკვეტაძე, გ. ცხვედიანი, ვ. ბიკაშვილი, გ. ასამბაძე თანაგრძნობას უცხადებენ პ. ეზიაშვილს მისი დედის **თებრონეს** გარდაცვალების გამო.

მშობლები გუგუ, თათუშა, და გულდამი, ბებია ანეტა, მამიდები ნადია, მინადორა ჩიქოვანები, ბიძა გ. ჰყონია იუწყებიან, რომ 26-XI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **სოლომონ ჩიქოვანის** პანაშვიდი.

შვილები ანდრო და ნინო გაბუნიები იუწყებიან **ანასტასია ბესარიონის ასულ გაბუნიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-XI. ფოთში.

შვილები გიორგი და თამარ დავიდოვები იუწყებიან **ნინო ანტონის ასულ მაკალათია-დავიდოვას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-XI, 7 ს. გამოსვენება 26-XI, 2 ს. ვარაზისხევის, 2-ა (ვაკე).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-98, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 17168